შეწყდეს აგრესია კუბაში!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

КОММУНИСТ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი

№ 90 (12004)

ოთხშაბათი, 19 აპრილი, 1961 წ.

ფასი 2 კაპ.

სსრ კავშირის მთავრობის განცხადება

18 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. სემიონოვმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ბ-ნი ე. ლ. ფრეირისი და გადასცა მას ტექსტი სსრ კავშირის მთავრობის განცხადებისა კუბაში შეიარაღებულ შეჭრასთან დაკავშირებით, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედისადმი.

ამავე დროს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სსრ კავშირის მთავრობის განცხადება გაუგზავნა მოსკოვში აკრედიტებულ ყველა საელჩოსა და მისიას.

ქვემოთ ქვეყნდება ტექსტი სსრ კავშირის მთავრობის განცხადებისა და ნ. ს. ხრუშჩოვის წერილისა ჯ. კენედისადმი.

* * *

„კუბის რესპუბლიკის მთავრობამ გამოაცხადა, რომ 15 აპრილს დილით ამერიკის „ბ-26“ ტიპის ბომბდამშენმა თვითმფრინავებმა ბარბაროსულად დაბომბეს კუბის დედაქალაქ ჰავანის ცალკეული რაიონები და მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტები. მშვიდობიან მცხოვრებთა შორის ბევრია მოკლული და დაჭრილი. აძ დაბომბვის შემდეგ 17 აპრილს ადრე დილით კუბის სანაპიროს სხვადასხვა ადგილას გადასხდნენ ინტერვენტთა შეიარაღებული დესანტები. დესანტების გადასხმა წარმოებდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდებისა და ავიაციის დახმარებით. კუბის მთავრობის ჯარები და სახალხო მილიცია ბრძოლებს აწარმოებენ შეჭრილი ბანდების წინააღმდეგ.

კუბაში შეჭრასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის მთავრობა აცხადებს შემდეგს:

კუბაზე თავდასხმა აკელა თავისუფლებისმოყვარე ხალხის აშკარა გამოწვევაა, აშშ-ში პროვოკაციაა ძმვიდობის წინააღმდეგ კარიბის ზღვის რაიონში, საყოველთაო მშვიდობის წინააღმდეგ. არაფრით არ შეიძლება ამ დახაბულებრივი შეჭრის გამართლება. კუბის წინააღმდეგ აგრესიის ორგანიზატორები ხელყოფენ კუბელი ხალხის განუყოფელ უფლებას იცხოვროს თავისუფლად და დამოუკიდებლად, ისინი ფეხქვეშ თელავენ საერთაშორისო ურთიერთობის ელემენტარულ ნორმებს, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს.

კუბელი ხალხი არავის არ ემუქრებოდა და არ ემუქრება. დაამხორა ორ წელზე მეტი ხნის წინათ ამერიკის მსხვილი მონოპოლიების მსახური — სისხლიანი დესპოტის ბატისტას ტირანია, კუბელი ხალხი დაადგა დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელების გზას, ეკონომიკის აღმავლობისა და ცხოვრების გაუმჯობესების გზას. იგი მოითხოვს, რომ თავი დაანებონ, ხელი არ შეუშალონ აშენოს თავის ცხოვრება თავისი ეროვნული იდეალების შესაბამისად.

განა პატარა კუბას, მისი ექვსი მილიონი მოსახლეობით, შეუძლია ემუქრებოდეს ვისმე, მით უმეტეს ისეთ დიდ სახელმწიფოს, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია? რასაკვირველია, არა. და მიუხედავად ამისა, კუბაში ეროვნული რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდან ამერიკის შეერთებული შტატები გახდნენ ცენტრი, სადაც თავს იყრიდნენ კუბიდან გაძევებული კონტრრევოლუციური ელემენტები, სადაც ისინი აწყობდნენ ბანდებს და იარაღდებოდნენ ფიდელ კასტროს სახალხო მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. უკანასკნელი ამბები გვიჩვენებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი მთავრობა, რომელმაც თავი გამოაცხადა ფ. რუზველტის პოლიტიკის მემკვიდრედ, არსებითად ახორციელებს დალეს-ეიზენჰაუერის რეაქციულ იმპერიალისტურ პოლიტიკას, რომელიც ხალხებმა დაგმეს.

სიტყვით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, პრეზიდენტ კენედის პირით, განაცხადა, რომ „კუბაში ძირითადი სადავო საკითხია არა დავა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კუბას შორის, არამედ დავა თვით კუბელებს შორის“. პრეზიდენტმა თქვა, რომ იგი მხარს უჭერს „თავისუფალ და დამოუკიდებელ კუბას“. საქმით ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათზე დამოკიდებულ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მოემზადებინათ აგრესიული თავდასხმა კუბაზე.

განა შეეძლოთ ამერიკის კაპიტალის დაქირავებულთა კონტრრევოლუციურ ბანდებს შეექმნათ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ეგრეთწოდებული „კუბის მთავრობა“, რომ არ ყოფილიყო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აშკარად მტრული პოლიტიკა კუბის მიმართ?

ვისი ტერიტორიიდან გაფრინდნენ თვითმფრინავები კუბაზე ავაზაკური თავდასხმისათვის? ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათს კონტროლს დაქვემდებარებული მეზობელი ქვეყნების ტერიტორიიდან.

ვისი იარაღით არიან შეიარაღებულნი კონტრრევოლუციური ბანდები? — ამერიკული იარაღით.

ვისი სახსრებით ინახავდნენ და ინახავენ მათ? — ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გამოყოფილი სახსრებით.

აქედან ჩანს, რომ სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები არიან კუბაზე ახლანდელი ავაზაკური თავდასხმის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი.

რატომ მოაწყეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეს დანაშაულებრივი თავდასხმა კუბის რესპუბლიკაზე? იმიტომ, რომ ბატისტას ტირანიის დამხობის შემდეგ კუბელმა ხალხმა ბოლო მოუღო თავისი სამშობლოს ძარცვასა და ექსპლოატაციას უცხოეთის მონოპოლიების მიერ. ამ მონოპოლიებს არაფრის დათმობა არა სურთ კუბის ხალხისათვის, ლათინური ამერიკის ხალხებისათვის. მათ ეშინიათ, რომ კუბა, რომელიც თავის დამოუკიდებელ ცხოვრებას აშენებს, მაგალითი გახდება ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებისათვის. საზიზღარ დაქირავებულთა ხელით მათ სურთ წაართვან კუბელ ხალხს უფლება განაგებდეს თავის ბედს, როგორც ეს ადრე უყვეს გვატემალას.

მაგრამ თვითეულ ხალხს უფლება აქვს იცხოვროს ისე, როგორც მას სურს, და არავის, არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება თავს მოახვიოს სხვა ხალხებს თავისი ცხოვრების წესი.

კუბელმა ხალხმა განვლო ხანგრძლივი მკაცრი და მძიმე სკოლა ბრძოლისა თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, უცხოელ მჩაგვრელთა და მათ ხელშემწყობთა წინააღმდეგ, და იგი არ დაიჩოქებს, არავის მისცემს ნებას კვლავ დაადგან მას უცხოელ დამპყრობელთა უღელი. კუბის მხარეზეა მთელი პროგრესული კაცობრიობა, ყველა პატიოსანი ადამიანი.

საბჭოთა კავშირის მთავრობა აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნები, გაჭირვებაში არ დატოვებს კუბელ ხალხს და გაუწევს მას მთელ საჭირო დახმარებასა და მხარდაჭერას კუბის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სამართლიან ბრძოლაში.

საბჭოთა მთავრობა ამ პასუხსაგებ მომენტში, საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისათვის, მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მიიღოს ღონისძიებანი, რათა შეწყვიტოს აგრესია კუბის წინააღმდეგ. კუბის საშინაო საქმეებში ჩარევა, კონტრრევოლუციური ბანდებისადმი მფარველობა და დახმარება დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს.

საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, რომ შეერთებულ შტატებში შეიგნებენ, რომ კუბის წინააღმდეგ აგრესია ეწინააღმდეგება ამერიკელი ხალხის ინტერესებს და შეუძლია საფრთხე შეუქმნას თვით შეერთებული შტატების მოსახლეობის მშვიდობიან ცხოვრებას.

საბჭოთა მთავრობა მოითხოვს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ გადაუდებლად განიხილოს საკითხი აგრესიული მოქმედების შესახებ, რასაც მიმართეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებმაც მოამზადეს და გააჩაღეს შეიარაღებული ინტერვენცია კუბის წინააღმდეგ.

სსრ კავშირის მთავრობა მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოს მთავრობებს გააკეთონ ყველაფერი, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ აღიკვეთოს კუბის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედება, რომლის განგრძობამ შეიძლება უაღრესად სერიოზული შედეგები გამოიწვიოს საყოველთაო მშვიდობისათვის. იმ ჟამს, როცა კუბის — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სუვერენული წევრი სახელმწიფოს სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა საფრთხეშია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი ქვეყნის მოვალეობაა გაუწიონ მას მთელი საჭირო დახმარება და მხარდაჭერა.

საბჭოთა მთავრობა იტოვებს უფლებას, თუ არ შეწყდა შეიარაღებული ჩარევა კუბელი ხალხის საქმეებში, განახორციელოს სხვა ქვეყნებთან ერთად ყველა ღონისძიება კუბის რესპუბლიკისათვის საჭირო დახმარების გასაწევად.

1961 წლის 18 აპრილი“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის

ჯ. კენედისადმი

ბატონო პრეზიდენტო,

მოგმართავთ ამ წერილით საგანგაშო ჟამს, რომელიც შეიცავს საფრთხეს მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. კუბის წინააღმდეგ დაიწყო შეიარაღებული აგრესია. არავისათვის საიდუმლოება არ არის, რომ ამ ქვეყანაში შეჭრილი შეიარაღებული ბანდები მოამზადეს, მოამარაგეს და აღჭურვეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. თვითმფრინავები, რომლებიც ბომბავენ კუბის ქალაქებს, ეკუთვნით ამერიკის შეერთებულ შტატებს, ბომბები, რომლებსაც ისინი ყრიან, მისცა ამერიკის მთავრობამ.

ყოველივე ეს ჩვენში, საბჭოთა კავშირში, საბჭოთა მთავრობაში, საბჭოთა ხალხში, იწვევს გულისწყრომის გასაგებ გრძნობას.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, როცა ჩვენი წარმომადგენლების საშუალებით აზრი გავუზიარეთ ერთმანეთს, ჩვენ თქვენთან ერთად ვლაპარაკობდით მხარეთა ორმხრივ სურვილზე მიგვეღო ერთობლივი ღონისძიებანი ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის გასაუმჯობესებლად და ომის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. თქვენი განცხადება რამდენიმე დღის წინათ იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ მიიღებენ მონაწილეობას საომარ მოქმედებაში კუბის წინააღმდეგ, ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ შეერთებული შტატების ხელმძღვანელი ინსტანციები ითვალისწინებენ, თუ რა შედეგები შეიძლება ჰქონდეს საყოველთაო მშვიდობისათვის და თვით ამერიკის შეერთებული შტატებისათვის აგრესიას კუბის წინააღმდეგ.

როგორღა გავიგოთ ის, რასაც შეერთებული შტატები სჩადიან სინამდვილეში, როცა კუბაზე თავდასხმა ახლა ფაქტი გახდა?

ახლა ჯერ კიდევ გვიან არ არის თავიდან ავიცილოთ მდგომარეობა, რომლის გამოსწორება შეუძლებელი იქნება. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ჯერ კიდევ აქვს შესაძლებლობა არ დაუშვას, რომ კუბაში ინტერვენტების მიერ დანთებული ომის ალი გადაიზარდოს ხანძრად, რომლის ჩაქრობა შეუძლებელი იქნება. მოგმართავთ, ბატონო პრეზიდენტო, დაბეჯითებით მოწოდებით ბოლო მოუღოთ აგრესიას კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ. სამხედრო ტექნიკა და მსოფლიო პოლიტიკური ვითარება ახლა ისეთია, რომ ყოველ ეგრეთწოდებულ „პატარა ომს“ შეუძლია გამოიწვიოს ჯაჭვური რეაქცია დედამიწის ყველა ნაწილში.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, არ უნდა იყოს გაუგებრობა ჩვენი პოზიციის შესახებ: ჩვენ კუბელ ხალხსა და მის მთავრობას ყველა საჭირო დახმარებას გავუწევთ კუბაზე შეიარაღებული თავდასხმის მოგერიებაში. ჩვენ გულწრფელად ვართ დაინტერესებული საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით, მაგრამ თუ სხვები გაამწვავებენ მდგომარეობას, ჩვენ მათ სრული ზომით ვუპასუხებთ. საერთოდ არ შეიძლება საქმე ისე წარმოებდეს, რომ ერთ რაიონში ვაწესებდეთ მდგომარეობას და ვაჭრობდეთ ხანძარს, ხოლო მეორე რაიონში ვაღვივებდეთ ახალ ხანძარს.

იმედი მაქვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გაითვალისწინებს ამ ჩვენს მოსაზრებებს, რაც ნაკარნახევია ერთადერთი ზრუნვით არ იქნას დაშვებული ისეთი ნაბიჯები, რომლებსაც შეუძლიათ მსოფლიო მიიყვანონ სამხედრო კატასტროფამდე.

ნ. ხრუშჩოვი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

1961 წლის 18 აპრილი.

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი სუვანა ფუმასთან

ხოხი, 18 აპრილი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ლაოსის სამეფოს მთავრობის პრემიერ-მინისტრი სუვანა ფუმა, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა, და ესაუბრა მას.

საუბრის დროს ნ. ს. ხრუშჩოვი მიესალმა სუვანა ფუმას როგორც ლაოსის მთავრობის პრემიერ-მინისტრს, რომელიც ახორციელებს მშვიდობის, ნეიტრალიტეტის, ეროვნული ერთიანობისა და ყველა ქვეყანასთან მეგობრული თანამშრომლობის დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ლაოსელი ხალხის საარსებო ინტერესებს. საბჭოთა კავშირის ხალხების, საბჭოთა მთავრობის სიმპათიები, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ლაოსელი ხალხის მხარეზეა, რომელიც იბრძვის თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

სუვანა ფუმამ დიდი მადლობა გადაუხადა მთელ საბჭოთა ხალხს, საბჭოთა მთავრობას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს ლაოსელი ხალხის ეროვნული ინტერესების გაგებისათვის, ყოველი ღონისძიებით დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რასაც საბჭოთა კავშირი უწევს ლაოსელ ხალხს მის სამართლიან ბრძოლაში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და ს. ფუმამ დაადასტურეს თავიანთი იმედი, რომ ლაოსის პრობლემა მალე გადაიჭრება მშვიდობიანი საშუალებებით ლაოსელი ხალხისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

საუბარში, რომელმაც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა, მონაწილეობა მიიღეს ლაოსის სოფლის მეურნეობის საკითხთა სახელმწიფო მდივანმა პრინცმა სისუმანგ სისალეუმსკმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განყოფილების გამგემ ლიხაჩოვმა.



ხელები შორს კუბისაგან!

ნახ. გ. ლომიძისა.

ხელები შორს კუბისაგან!

— ასეთია მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელთა მტკიცე მოთხოვნა

ისტორია შეაჩვენებს უაჩაღებს

ყველა პროგრესულ ადამიანთან ერთად მეც აღშფოთებას გამოვთქვამ ამერიკელი იმპერიალისტების თავხედური მოქმედების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უმართავენ კუბელ კონტრრევოლუციონერებს, დაადგნენ ინტერვენციის გზას და უომბარებს აყრიან თავზე კუბის მშვიდობიან მოსახლეობას. დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს კუბის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედება, რომლის განგრძობამ შეიძლება ზიანი მოუტანოს საყოველთაო მშვიდობას.

და ეს ხდება მაშინ, როდესაც ჩვენი დიდი საბჭოთა ხალხი, მისი ავანგარდი და ხელმძღვანელი ძალა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კაცობრიობას უჩვენებენ კოსმოსის დაპყრობის, მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრების ნათელ გზას!

აღმაშფოთებელია, დასაგმობია, გასაკიცხია შარაგზის ყაჩაღთა ეს მოქმედებას სასტიკი დასჯის ღირსნი არიან კუბელი ხალხის მოღალატეები და მათი ხელს შემწყობი ამერიკელი აგრესორები, რომლებიც საღი გონების წინააღმდეგ, ადამიანური სამართლიანობის წინააღმდეგ დაადგნენ ომის პროვოკაციულ გზას და შეეჩრნენ მშვიდობისმოყვარე კუბელი ხალხის წმიდათა-წმიდა მიწა-წყალზე. ისტორია შეაჩვენებს ამ ყაჩაღებს!

გ. შხვაცაბაია,

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

კასტროს სამშობლო არ დაიჩოქებს

ამ სასიხარულო დღეებში, როცა მთელი მსოფლიო შეძრა საბჭოთა მოქალაქის იური გაგარინის გმირულმა გაფრენამ კოსმოსში, რადიომ გვაუწყა აღშფოთებელი ამბავი — ამერიკული თვითმფრინავებით ბომბავენ კუბას საჰაერო მეკობრეები.

რა დიდი კონტრასტია! მშვიდობისმოყვარე ჩვენი ქვეყანა კოსმოსურ სივრცეში გზავნის ადამიანს, რომ ხალხის სამსახურში ჩაყენოს მეცნიერების ყველა მონაპოვარი, ამერიკელი იმპერიალისტები კი თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების მოსასპობად იყენებენ თავიანთი მეცნიერების გამოგონებას. ქმნიან გამახადგურებელ იარაღს, რომ ომის ზღვარზე ამყოფონ მსოფლიო. ამჯერად ისინი არ დასჯერდნენ მარტო იარაღის ყაჩაღუნს და კონტრრევოლუციური ბანდების ამოქმედებით ავაზაკურად დაესხნენ თავს პატარა კუბას.

მთელი ქვეყნიერება აღაშფოთა ამ აგრესიამ. მე მინახავს მშვენიერი კუბა, მინახავს მისი ცეცხლოვანი ბელადი, რევოლუციის მამაცი რაინდი ფიდელ კასტრო. ვიცი, თუ რა უსაზღვროდ უყვარს იგი კუბელ ხალხს, როგორც თავისუფლების გმირი დამცველი და ახალი ცხოვრების სულისჩამდგმელი.

მჯერა, მწამს — არ დაიჩოქებს კასტროს სამშობლო.

აკ. ხორავა,

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

თავისუფლება კუბელ ხალხს!

იმპერიალისტთა ინტერვენციამ კუბის წინააღმდეგ სამართლიანად გამოიწვია მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხების გულისწყრომა. ხელები შორს კუბისაგან — ეს სიტყვები გაისმის ყველგან. ეს სიტყვები გაისმოდა გუშინ თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის ვრცელ ეზოში, სადაც თავი მოიყარეს ელმავალმშენებლებმა. რათა გამოეთქვათ თავიანთი აღშფოთება კუბის წინააღმდეგ დაწყებული ინტერვენციის გამო.

მიტინგი გახსნა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ს. სარაშვილმა. ინფორმაციით გამოვიდა საწარმოს დირექტორი ი. ზერეკიძე. მან აღნიშნა, რომ საჰაერო თავდასხმამ კუბის მშვიდობიან ქალაქებზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ამერიკული წარმოების სამხედრო თვითმფრინავები, ერთხელ კიდევ დაანახვა მთელ მსოფლიოს იმპერიალიზმის აგრესიული სახე.

ტრიბუნაზე მექანიკური საამქროს ხარატი ე. კაკაბაძე.

— რამდენიმე დღის წინ ჩვენ შევიკრიბეთ აქ, რათა მივესალმებოდით პირველ კოსმონავტს ი. გაგარინს, — თქვა ორატორმა. — იმ დღეს ყოველი ჩვენგანის სახეზე ამოხატული იყო აღტაცება. დღეს კი უზომოა ჩვენი გულისწყრომა. იმ დღეებში, როდესაც მთელი მსოფლიოს ხალხები ზეიმობდნენ ადამიანის გონების უდიდეს გამარჯვებას — ადამიანის პირველ გაფრენას კოსმოსში, იმპერიალისტებმა ერთხელ კიდევ დაგვანახვეს თავიანთი ნამდვილი სახე. მათ სურთ თავისუფალი ცხოვრებისა და შრომის საშუალება მოუსპონ კუბელ ხალხს, კვლავ დაუქვემდებარონ კუბა უცხოელ მონოპოლიებს. მაგრამ ხალხები ამას არ დაუშვებენ. კუბელ ხალხს ბრძოლაში მხარს დაუჭერს ყოველი ადამიანი, რომლისთვისაც ძვირფასია თავისუფლება და მშვიდობა.

მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ. ამწყობი საამქროს უფროსი ზ. ჩიგავიძე, ელექტროზეინკალი ვ. მარუგინი და სხვები.

მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, სადაც მტკიცე პროტესტს გამოთქვამენ იმპერიალისტთა მოქმედების გამო. მოითხოვენ შეწყვეტს ინტერვენციას კუბელი ხალხის წინააღმდეგ.

* * *

სურათზე: მიტინგი თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში. მუშები და მოსამსახურეები ხმას აძლევენ რეზოლუციას, რომელშიც დაგმობილია აგრესია კუბაზე.

ტრიბუნაზეა ხარატი ე. კაკაბაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მოსკოვი ზეიმობს, დედაქალაქი ჯაშს უკრავს

საბჭოთა საქართველოს იუბილესადმი მიძღვნილი საღამოები მოსკოვში

მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში 17 აპრილს თავი მოიყარეს მოსკოველმა მშრომელებმა. აქ ისინი მოვიდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორმოცე წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე, რომელიც მოაწყო პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საკავშირო საზოგადოებამ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივმა წარმომადგენლობამ. სტუმრებს შორის არიან უდიდეს საწარმოთა მუშები, თვალსაჩინო მეცნიერები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები, პარტიის უხუცესი წევრები, ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის მონაწილენი. საღამოს დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ბაგრამიანი და სხვები.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი სრულიად საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ ნ. მესიაცევმა შეკრებილთ მიულოცა საბჭოთა საქართველოს მეორმოცე წლისთავი.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან ი. ართმელაძე.

ნაგად 16 აპრილს მოსკოვში, ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში მოაწყო ქართული ლიტერატურის საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს დიდმა მეგობარმა პოეტმა ნიკოლოზ ტიხონოვმა. მან თქვა: ზოგიერთ ქვეყანას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყველასათვის. ამ ქვეყნის ბუნება, ხელოვნება, უძველესი კულტურა აღაფრთოვანებენ არა მარტო საქმის მცოდნე პირებს, არამედ აღფრთოვანებასთან ერთად შთააგონებენ მხატვრებს, მწერლებსა და მეცნიერებს. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა ევროპაში იტალიაა, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა ევროპის შეხედულებებზე. ევროპელმა პოეტებმა თავიანთი გულის გარკვეული ხარკი გაიღეს ამ ქვეყნის წინაშე. ჩვენთვის, რუსი პოეტებისათვის კი საქართველო იქცა იტალიად. საქართველოსთან ბედმა დააკავშირა პუშკინი, ლერმონტოვი, გრიბოედოვი. აქ დაიწყეს თავიანთი სამწერლო გზა ლევ ტოლსტოიმ და მაქსიმ გორკიმ. საქართველოში დაიბადა ვლადიმერ მაიაკოვსკი. რუს პოეტ-მთარგმნელების დიდმა ჯგუფმა ქართული პოეზია ახლობელი და გასაგები გახადა მრავალმილიონიანი რუსული აუდიტორიისათვის. ჩვენი ნაცნობობა დიდ და ლამაზ მეგობრობად იქცა.

დღეისათვის მრავალი ახალი ქართველი პოეტის ნაწარმოებია თარგმნილი. ამ ახალგაზრდა ქართველი პოეტების ლექსებში ყველს ხმა ახალი საბჭოთა საქართველოსი, რომლის მეორმოცე წლისთავსაც ერთად ვზეიმობთ.

საღამოზე მოხსენებით გამოვიდა კრიტიკოსი ბ. ულენტი. თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს პოეტებმა ა. გომიაშვილმა, კ. კალაძემ, ა. მირცხულავამ, ი. ნონეშვილმა, ა. კალანდაძემ, რ. მარგიანმა, ხ. ბერულავამ, მ. ქვლივიძემ, მ. მაჭავარიანმა, ო. ჭელიძემ.

საღამოზე იყვნენ აგრეთვე მწერლები კონსტანტინე ლორთქიფანიძე, აკაკი ბელიაშვილი, მიხეილ მრევლიშვილი, გიორგი შატბერაშვილი.

ქართველი პოეტების ნაწარმოებები წაიკითხეს ცნობილმა რუსმა პოეტებმა პ. ანტოკოლსკიმ, ა. მეჟიროვმა, ე. ევტუშენკომ, ე. ვინოკუროვმა, ა. ვოზნესენსკიმ, ბ. ახმადულინამ, ე. ნიკოლაევსკაიამ, მ. მაკსიმოვმა.

საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით დამსწრეთ მიესალმა და გულითადი მადლობა გადაუხადა მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ს. ჭილაიამ. დასასრულ გაიმართა ქართული ხელოვნების კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის თეატრებისა და ფილარმონიის საუკეთესო არტისტებმა ძალებმა.

ქართული ლიტერატურის საღამოები გაიმართა აგრეთვე ვ. ი. ლენინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, მეგობრობის სახლში და მოსკოვის ქარხანა „დინამოს" საამქროებში.

* * *

ლენინგრადში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსა და ბელორუსიაში საგასტროლო მოგზაურობის შემდეგ მოსკოვს წელს მეორედ ეწვია საქართველოს სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლი ა. კავსაძის ხელმძღვანელობით. ანსამბლმა კონცერტები გამართა საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის წითელდროშოვან დარბაზში, მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტსა და რკინიგზელთა სახლში.

ქართული სიმღერებისა და ცეკვების ოსტატურად შესრულებისათვის მაყურებელი მქუხარე ტაშით აჯილდოებდა ანსამბლის სოლისტებს.

* * *

მოსკოვის სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში გაიმართა მ. ლერმონტოვის ტრაგედია „მასკარადის" მიხედვით შექმნილი წარმოდგენის პრემიერა. ეს არის საბალეტო სპექტაკლი, რომლის ლიბრეტო ეკუთვნის ო. დადეშქელიანს, მთავარ როლს ასრულებს მ. ჭიჭინაძე.

ვ. ბოზალიშვილი.

მოსკოვი, 17 აპრილი.

* * *

სურათებზე: (ზევით) მოსკოვი. მდინარე მოსკოვის ხედი. უკან მოჩანს ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ქვევით) თბილისი. საქართველოს სსრ მთავრობის სახლი.

ფოტო **ბ. დადვაძისა** და **შ. ჩხეტიანისა.**



მალე შეხვედრამდე

ი. ა. გაგარინის განცხადება სტარტის წინ

თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთით" კოსმოსურ სივრცეში გაფრენის წინ ი. ა. გაგარინმა პრესისა და რადიოსათვის გააკეთა შემდეგი განცხადება:

ძვირფასო მეგობრებო, მახლობლებო და უცნობებო, თანამემამულენო, ყველა ქვეყნისა და კონტინენტის ადამიანებო!

რამდენიმე წუთის შემდეგ მძლავრი კოსმოსური ხომალდი შემიყვანს სამყაროს შორეულ სივრცეებში. რა შემიძლია გითხრათ სტარტის წინ ამ უკანასკნელ წუთებში? მთელი ჩემი სიცოცხლე ახლა ერთ მშვენიერ წამად მეჩვენება, ყველაფერი, რაც წინათ განმიცდია, რაც წინათ გამიკეთებია, განვიცადე და გავაკეთე ამ წუთისათვის. თვითონვე იცით, ძნელია გავერკვიო ჩემს გრძნობებში ახლა, როცა ძალიან მოახლოვდა გამოცდის ჟამი, რომლისთვისაც დიდხანს და მგზნებარედ ვემზადებოდით. განა საჭიროა ვილაპარაკო იმ გრძნობებზე, რომლებიც განვიცადე, როცა წინადადება მომცეს მომეხდინა ისტორიაში ეს პირველი გაფრენა. სიხარული? არა, ეს მარტოოდენ სიხარული როდი იყო. სიამაყე? არა, ეს მარტოოდენ სიამაყე როდი იყო. მე განვიცადე დიდი ბედნიერება. პირველი იყო კოსმოსში, პირისპირ უმაგალითო ორთაბრძოლაში შეეჯიდო ბუნებას — განა შეიძლება მეტ რამეზე ოცნება?

მაგრამ ამასთანავე ვიფიქრე იმ კოლოსალურ პასუხისმგებლობაზე, რომელიც დამეკისრა. პირველს გამეკეთებინა ის, რაზეც ოცნებობდნენ ადამიანთა თაობები, პირველს გამეკაფა გზა კაცობრიობისათვის კოსმოსში... დამისახელეთ იმაზე მეტი სირთულის ამოცანა, ვიდრე ის, რაც მე მხვდა წილად. ეს პასუხისმგებლობაა არა ერთი ადამიანის წინაშე, არა ათობით ადამიანის წინაშე, არა ოლქისა ან ქალაქის წინაშე. ეს პასუხისმგებლობაა მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე, მთელი კაცობრიობის წინაშე, მის აუმაღლეს — და მომავლის წინაშე. და თუ, მიუხედავად ამისა, ბკიცრულობ ამ გაფრენას, მხოლოდ იმიტომ, რომ კომუნისტი ვარ, რომ თვალწინ მიდგას ჩემი თანამემამულეების — საბჭოთა ადამიანების უმაღლეთო გმირობის ნიმუშები, მე ვიცი, რომ მთელ ჩემს ნებისყოფას მოვიკრებ ამოცანის საუკეთესოდ შესრულებისათვის, შეგნებული მაქვს რა ამოცანის პასუხისმგებლობა, გავაკეთებ ყველაფერს, რაც ძალმიძს, იმისათვის, რომ შევასრულო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დავალება.

ბედნიერი ვარ თუ არა, კოსმოსურ ფრენაში რომ მივემგზავრები? რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ. ყველა დროებასა და ეპოქაში ხომ ადამიანთათვის უმაღლესი ბედნიერება იყო მონაწილეობა მიეღოთ ახალ აღმოჩენებში.

მინდა ეს პირველი კოსმოსური გაფრენა მივუძღვნა კომუნიზმის ადამიანებს, იმ საზოგადოების ადამიანებს, რომელშიც უკვე შედის ჩვენი საბჭოთა ხალხი და რომელშიც, დარწმუნებული ვარ, შევა დედამიწის ყველა ადამიანი.

ახლა სტარტამდე წუთებიღა დარჩა. გეუბნებით, ძვირფასო მეგობრებო, ნახვამდის, როგორც ყოველთვის ეუბნებიან ხოლმე ერთმანეთს ადამიანები, შორ გზას რომ ადგებიან. როგორ მინდა მოგეხვიოთ ყველას, ნაცნობსა და უცნობს, შორეულსა და მახლობელს!

მალე შეხვედრამდე!

გუშინ მინდვრად

გორი სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობამ კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 60 ჰექტარი სიმინდი. მექანიზატორმა **გიორგი ალიხანაშვილმა** გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარის ნაცვლად დათესა 12 ჰექტარი, ხოლო სოფელ ზერტის კოლმეურნეობის ტრაქტორისტმა **არჩილ თოდაძემ** — 11 ჰექტარი ნაცვლად 8 ჰექტარისა.

მცხეთა სოფელ მუხრანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მექანიზატორმა **სერგო მამულაშვილმა** კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 10 ჰექტარი ნაცვლად 8 ჰექტარისა, ამავე სოფლის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში **აბრო ბიჭიაშვილმა** — 10,5 ჰექტარი.

ბოლნისი დაბა ბოლნისის საბჭოთა მეურნეობაში თავი ისახელეს მექანიზატორებმა **ავალო გაბიძაშვილმა** და **ალექსანდრე დევნოზიშვილმა.** თვითეულმა დათესა 15 ჰექტარი სიმინდი ნაცვლად 12 ჰექტარისა.

თეთრიწყარო სოფელ ალექსეევკის კოლმეურნეობის ტრაქტორისტმა **ნ. პეტროვმა** დათესა 14 ჰექტარი სიმინდი ნაცვლად 12 ჰექტარისა. სოფელ დაღეთის კოლმეურნეობაში მექანიზატორმა **ა. მირზოიანმა** დათესა 15 ჰექტარი, გეგმა კი 10 ჰექტარს ითვალისწინებდა.

ქარელი რაიონში კვადრატულ-ბუდობრივად დათესილია 300 ჰექტარამდე სიმინდი. მექანიზატორმა **გიორგი სიხაშვილმა** პროგრესული წესით დათესა 10 ჰექტარი და დღიური დავალება 120 პროცენტით შეასრულა, **ივანე ვახტანგაშვილმა** — 13 ჰექტარი, ბრეთის კოლმეურნეობაში **გივი კორკოზაშვილმა** დათესა 11 ჰექტარი, **გიორგი ტიტვინიძემ** — 10, სოფელ დირბის კოლმეურნეობაში **ვალერიან ცქიფურმა** — 9 ჰექტარი.

გურჯაანელები უპატაკებენ

გურჯაანი. (საკ. კორ.). **რაიონში თესვა დამთავრდა. საგაზაფხულო კულტურები დათესილია 5.348 ჰექტარზე ნაცვლად გათვალისწინებული 5.340 ჰექტარისა. სიმინდი უნდა დათესილიყო 3.700 ჰექტარი, დაითესა 3.731 ჰექტარი, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად დათესილია 2.000 ჰექტარზე მეტი.**

სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ 220 ჰექტარის ნაცვლად სიმინდი დათესა 230 ჰექტარზე მთლიანად კვადრატულ-ბუდობრივად. აქაურმა მესიმინდეებმა იკისრეს მთლიანი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღონ 60 ცენტნერი, ხოლო 110 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე — 100 ცენტნერი სიმინდი მარცვლად.

გამოჩენილმა მექანიზატორმა ზაქარია არჩევნიშვილმა სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 130 ჰექტარზე და ყოველ ჰექტარზე მიიღეს 75 ცენტნერს.

სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობამ 200 ჰექტარზე მთლიანად კვადრატულ-ბუდობრივად დათესა სიმინდი. მექანიზატორმა არჩილ გოჩინაშვილმა აქ განსაკუთრებით ისახელა თავი. მან პროგრესული წესით 100 ჰექტარზე დათესა „მინდვრის დედოფალი". ასეთივე წარმატებები აქვთ სოფელ მელაანის კოლმეურნეობა „კომუნიზმს" და რაიონის სხვა კოლმეურნეობებს, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა.

თესვა გრძელდება. რაიონში გეგმის გადამეტებით ითესება ახალ-ახალი ჰექტარები.

საქართველოს მეცნიერების ახალი წარმატებებისათვის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, მიძღვნილი აკადემიის 1960 წლის საქმიანობისადმი.

მოხსენება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1960 წლის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ გააკეთა აკადემიკოს-მდივანმა ს. დურმიშიძემ.

ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად, თქვა მომხსენებელმა, ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა კოლექტივი. 1960 წელს მიღწეულია დიდმნიშვნელოვანი შედეგები მეცნიერების ბევრ დარგში. გასულ წელს აკადემიის საქმიანობა ხასიათდებოდა პრაქტიკასთან, ცხოვრებასთან მეცნიერების კავშირის შემდგომი განმტკიცებით, სრულიად საკავშირო და მომავ რესპუბლიკებს სამეცნიერო დაწესებულებებთან შემოქმედებითი თანამშრომლობის გაფართოებითა და გაღრმავებით. რესპუბლიკის მეცნიერები ახალი წარმატებებით ეგებებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-40 წლისთავს.

გასულ წელს კიდევ უფრო გაფართოდა რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელი. მაგალითად, დაარსდა კიბერნეტიკისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტები. ფიზიკის ინსტიტუტში შეიქმნა კრიოგენული ლაბორატორია და გამოთვლითი ბიურო; რეაქტორის განყოფილებას გამოეყო ბიოფიზიკის ლაბორატორია. გეოლოგიურ ინსტიტუტში ჩამოყალიბდა სამი განყოფილება. ბათუმში გაიხსნა მეტალურგიის ინსტიტუტის ლითონთა კოროზიის შემსწავლელი პუნქტი, რომელიც მომსახურებას გაუწევს კოროზიის საკითხებზე მომუშავე სხვა ინსტიტუტებსაც. გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში შეიქმნა ხუთი ახალი განყოფილება.

რესპუბლიკის სამეცნიერო ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური სხივების მაღალმთიური სადგურის მოწყობა ცხრაწყაროზე. საექსპლოატაციოდ გადაეცა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მენისკური ტელესკოპის კოშკი. თბილისის ზღვაზე შექმნილია ზოოლოგიის ინსტიტუტის ჰიდრობიოლოგიური ბაზა.

მომხსენებელმა დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ყველა განყოფილების 1960 წლის საქმიანობას. სულ რესპუბლიკის მეცნიერებმა დაამუშავეს 241 პრობლემა, 1.311 თემა. ბევრი საკითხი, რომლებიც იწვევენ ცხოველ მეცნიერულ ინტერესს და რომლებსაც აქვთ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, დაამუშავეს მათემატიკისა და ბუნებისმეტყველებას, ბიოლოგიის, მედიცინის, ტექნიკისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებებმა.

1960 წელს კიდევ უფრო გაფართოდა და განმტკიცდა სამეცნიერო საქმიანობის კოორდინაცია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წარმატებებმა განაპირობა მისი დაწესებულებების საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობის განვითარება.

გასული წლის დამლევს მოეწყო აკადემიის ნამდვილი წევრების არჩევნები, რის შედეგადაც აკადემიკოსთა შემადგენლობას შეემატა მეცნიერების წამყვანი დარგების 18 წარმომადგენელი. გასულ წელს ქართველმა მეცნიერებმა დაიცვეს 8 სადოქტორო და 35 საკანდიდატო დისერტაცია.

კამათის მონაწილეებმა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ნ. კეცხოველმა, ა. შანიძემ, ი. დოლიძემ, ე. ანდრონიკაშვილმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პ. შენგელიამ, პროფესორმა ი. ჯავახიშვილმა და კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორმა ვ. ჭავჭანიძემ ილაპარაკეს იმ უდიდეს ამოცანებზე, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ დაუსახა მეცნიერებას. მათ დააყენეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ეხება რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებების, ინსტიტუტებისა და სხვა დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესებას. ყველა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უფრო გაძლიერონ კვლევითი მუშაობა მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში, უწინწარეს ყოვლისა დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო პრობლემებზე. ქართველმა მეცნიერებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საერთო კრებამ დაამტკიცა აკადემიის 1960 წლის საქმიანობის ანგარიში. (საქ-დეს.).

დარგაზოგა აფრიკის ელჩებთან

მოსკოვი, 17 აპრილი. (საკდესი). **აფრიკის ქვეყნების ელჩებმა, რომლებიც აკრედიტებული არიან საბჭოთა კავშირში, დღეს გამართეს დიდი დარბაზობა აფრიკის თავისუფლების დღის გამო.**

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ა. ნ. კოსიგინი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ე. ა. ფურცევა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის მინისტრები. სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, საბჭოთა კავშირის მარშლები.

დარბაზობაზე იყვნენ საბჭოთა კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობის დროს, რომელმაც გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მაროკოს ელჩმა სსრ კავშირში ბაშირ ბენ აბესმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ნ. კოსიგინმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

სუვანა ფუმა მოსკოვში

მოსკოვი, 17 აპრილი. (საკდესი). **ლაოსის სამეფოს მთავრობის პრემიერ-მინისტრი პრინცი სუვანა ფუმა, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა, დღეს ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს.**

შემდეგ პრინცი სუვანა ფუმა ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. ნ. კოსიგინს. ა. ნ. კოსიგინსა და სუვანა ფუმას შორის გაიმართა მეგობრული საუბარი საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ლაოსის პრობლემის მშვიდობიან მოწესრიგებასთან და საბჭოთა კავშირისა და ლაოსის ურთიერთობასთან.

შემდეგ ლაოსელმა სპატიო სტუმარმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს ვ. ი. ლენინის კაბინეტი და ბინა კრემლში.

კრემლის დიდ სასახლეში საბჭოთა მთავრობის სახელით საუზმე გაიმართა მისი უმაღლესობის პრინც სუვანა ფუმას პატივსაცემად.

პრინც სუვანა ფუმასთან ერთად საუზმეზე იყვნენ მისი ქალიშვილი პრინცესა მუნ სუვანა ფუმა, სოფლის მეურნეობის საკითხთა სახელმწიფო მდივანი პრინცი სისუმანგ სისლეუმსაკი და სხვ.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ ამხანაგები ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ე. ა. ფურცევა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის მინისტრები ა. ა. გრომიკო, ს. ვ. კუროშოვი, რ. ი. მალინოვსკი, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები ს. ა. სკაჩკოვი, ა. ნ. შელეპინი და სხვები.

საუზმის დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ა. ნ. კოსიგინმა და სუვანა ფუმამ მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ერთმანეთს.

ნაშუადღევს პრინცი სუვანა ფუმა და მისი თანმხლები პირები სოჭში გაფრინდნენ.

კომუნისტი

№-2 გვერდი, ოთხშაბათი, 19 აპრილი, 1961 წ.

უბრალო მეთვალყურის როლში

პარტიული ცხოვრება

ერთი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მწარე გაკვეთილები

ბუნების სიკეთით წითელხევი არცერთ სოფელს არ ჩამოუვარდება მაიაკოვსკის რაიონში. აქ შესანიშნავი პირობებია მევენახეობის, მარცვლეული კულტურებისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის.

მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ამ სოფლის ფრენზეს სახელობის კოლმეურნეობაში უნარიანად ვერ იყენებენ ხელსაყრელ პირობებს, წლობით ერთ ადგილს ტკეპნიან, აშკარად ურიგდებიან საზოგადოებრივი მეურნეობის ჩამორჩენას.

კოლმეურნეობის ეკონომიკაში დიდი ხვედრითი წონა აქვს მევენახეობას, მაგრამ ვერ იქნა და წინ ვერ წამოსწიეს ეს დარგი. შარშან საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე აქ უფრო დაბალი იყო, ვიდრე მთლიანად რაიონში. ჰექტარზე მხოლოდ 22 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. მცირე იყო სიმინდის მოსავალიც, რამაც ჰექტარზე 11,6 ცენტნერი შეადგინა.

ჩამორჩენაა თითქმის ყველა დარგში. შარშან კოლმეურნეობას არცერთი კილოგრამი პროდუქცია არ მიუღია ხეხილის ბაღებიდან, პირუტყვის საკვები ჭარხლის ნათესებიდან და მეფუტკრეობიდან. 60 ჰექტარი ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მხოლოდ ერთი ცენტნერი სოია მოიყვანეს. არ შეუსრულებიათ სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის გეგმა. კიდევ მეტი, მეაბრეშუმეობისაგან მიღებული შემოსავლის ერთი მეოთხედი თუთის ფოთლის შეძენაზე დახარჯეს. ეს მაშინ, როცა თუთის საკუთარი პლანტაცია მოუვლელად მიატოვეს.

კოლმეურნეობაში დიდია დებიტორული დავალიანება. შრომადღეების ფულადი ანაზღაურებიდან კოლმეურნეებზე დღემდე გაუცემელია 14.030 მანეთი (ახალი ფულით), ამავე დროს კი კოლმეურნეთა ერთ ნაწილს არასწორი ავანსირების გამო ზედმეტად აქვს მიღებული 4.529 მანეთი.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის მხრივ უყურადღებობისა და უკონტროლობის შედეგად კოლმეურნეობის თავმჯდომარე აკ. გრძელიძე თვალთმაქცობის, სახელმწიფოს მოტაცების გზას დაადგა, ხელოვნურად გაბერა წველადობის მაჩვენებელი. რძის საერთო წარმოებას აქ ფიქტიურად მიაწერეს 30,7 ტონა რძე. საქმე ისე წარმოადგინეს, თითქოს გასულ წელს მთელი მოწველილი რძის 35 პროცენტი ხბოების კვებაზე დაეხარჯათ.

ასე მოატანა კოლმეურნეობამ მიმდინარე წლის დამდეგამდე. უნდა გვეფიქრა, რომ ყოველივე აქედან საჭიროო დასკვნებს გააკეთებენ. წლის პირველი კვარტალი გავიდა, გაზაფხულიც დადგა, მაგრამ კოლმეურნეობაში საქმის მდგომარეობას წინსვლა, არსებითი გარდატეხა არ ეტყობა.

დანაშაულებრივად ჭიანურდება მინდვრებისა და ვენახების საგაზაფხულო სამუშაოები. აპრილის პირველი რიცხვებისათვის 187,5 ჰექტარი ვენახიდან რგოთა შორის დამუშავებული იყო 155 ჰექტარი, ვაზის ძირები კი მარტოოდენ 25 ჰექტარზეა გამობარული, დღემდე არ დაუთავრებიათ ჭიგოს დამზადება, ვენახების გასხვლა, არ დაუწყიათ ვაზის მყნობა. 300 ჰექტარი სათესი ფართობიდან საგაზაფხულოდ მოხნულია მხოლოდ 90 ჰექტარი. მართალია, სიმინდისათვის მაღალმოსავლიანი ნაკვეთები გამოყვეს, მაგრამ ყანებში ნაკელი არ გაუტანიათ.

კოლმეურნეობას არ შეუსრულებია სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის დავალება.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობაში ცუდი მდგომარეობაა. ამავე დროს კი პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში 92 კომუნისტს აერთიანებს, უბრალო მეთვალყურის როლში გამოდის, გადამწყვეტ ბრძოლას არ ეწევა ამ შეუწყნარებელი ფაქტების აღსაკვეთად, ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობის ნაცვლად სასხდომო ფუსფუსშია გართული.

მამდინარე წლის 15, 16 და 17 იანვარს ზედიზედ, ყოველდღიურად იმართებოდა პარტიული კრებები. (!) ეს კიდევ არაფერი. კაცმა რომ თქვას, კრებებს შუა შესვენება რამდენიმე საათი მაინც იყო. 7 თებერვალს კი შესვენებისათვის არავის მოაცალეს. მარტო ამ დღეს ერთიმორის მიყოლებით სამი პარტიული კრება გამართეს.

ამ ფაციფუცში მთავარი და არსებითი საკითხის განხილვას ზერელედ, ფორმალურად მოეკიდნენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შედეგების განხილვისას კრებაზე სიტყვით მხოლოდ ორი კაცი — ავრორნმი ვ. ფაიქიძე და ბრიგადირი გ. ფაიქიძე გამოვიდა. ოთხი პუნქტისაგან შედგენილ სახელდახელოდ ჩამოწერილ ღონისძიებებში არაფერია ნათქვამი იდგილზე საქმის მდგომარეობაზე, კოლმეურნეობის, პარტორგანიზაციის წინაშე მდგომ კონკრეტულ საბრძოლო ამოცანებზე. და ეს მით უფრო შეუწყნარებელია, რომ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე მოხსენებით გამოვიდა პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი აკ. მსხვილაძე.

კოლმეურნეობის პარტიიურის ახლადარჩეულ მდივანს შ. ვერულაშვილს გამოცდილება არ ჰყოფნის, მას კი დღემდე საქმიანად, კონკრეტულად არავინ დახმარებია.

ამიტომ ხდება, რომ ახლაც პარტიული კრებები უფურულად იმართება, კომუნისტები აქტივობას არ იჩენენ. ზოგიერთი კომუნისტი შეეჩვია ვალდებულების წარმარა აღებას და სიტყვის გატეხას. № 2 ბრიგადის ხელმძღვანელმა კომუნისტმა მ. შარვაშიძემ 15 იანვარს პარტიულ კრებაზე იკისრა ვენახების რიგთაშორის ხვნის და ძირების გამობარვის სამუშაოთა 30 იანვრამდე დამთავრება. ეი თებერვალი და მარტიც გავიდა, მაგრამ ვაზის ძირების შემობარვა ბრიგადას არც 4 აპრილისათვის ჰქონდა დამთავრებული.

17 თებერვალს კრებამ თავის დადგენილებაში ჩაწერა, რომ ვენახების სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის 5 ათასი ძირი ვაზის გამორგვა და 7 ათასი ძირის გადაწვენა 30 თებერვლისათვის დავამთავრებინათ. მაგრამ პარტბიურო არც დაუმტკიცა დროისათვის, არც მას შემდეგ დადგენილების შესრულების შემოწმებით არ დინტერესებულა. აი არასახარბიელო შედეგიც: მეჩხერ ვენახებში ვაზის გადარგვა არ დაუწყიათ, ხოლო 7 ათასის ნაცვლად გადაწვენილია მხოლოდ 5 ათასი ძირი ვაზი.

კოლმეურნეობის ჩამორჩენა, უპირველეს ყოვლისა, შრომის სუსტი ორგანიზაციის, დაბალი დისციპლინის შეტეგია. შარშან შრომისუნარიან კოლმეურნეთა ათ პროცენტს არ გამოუმუშავებია შრომადღეების მინიმუმი. მათ შორის სამწუხაროდ, არიან კომუნისტები შ. ერდელაძე, ო. მეფარიშვილი, გ. სენჩიკოვი, ს. კოკნაძე, ლ. ფაიქიძე და სხვები. წელსაც ასე გრძელდება. თუმცა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პირველი პერიოდი იწყება, ოცამდე კომუნისტს გამომუშავებული არა აქვს ამ პერიოდისათვის გათვალისწინებული შრომადღეების მინიმუმი.

ასეთი გულსატკენი ფაქტები არ გამხდარა კომუნისტთა მსჯელობის საგნად. კოლმეურნეობის რვა ბრიგადასა და მეცხოველეობის ფერმაში შექმნილი პარტიული ჯგუფები ვერ რაზმავენ თავიანთ უბნებზე მომუშავე კოლმეურნეებს ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად.

კოლმეურნე კომუნისტები განაწყენებული არ არიან წარმოების გადამწყვეტ უბნებზე. ადმინისტრაციულ აპარატში რვა კომუნისტია. ამავე დროს კი 12 საწარმოო ბრიგადასა და 59 რგოლს სათავეში უდგას მხოლოდ 14 კომუნისტი.

**ახლა საგაზაფხულო სამუშაოთა ამ ცხარე დღეებში, მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა გადატანილ უნდა იქნას მინდვრად, ვენახებში, სადაც წყდება უხვი მოსავლის ბედი. მაგრამ ბევრი აგიტატორი დუმს. კარგა ხანია, რაც მსხვილფეხა პირუტყვისა და მეღორეობის ფერმებისათვის ცალკე აგიტატორების გამოყოფა გაითვალისწინეს, მაგრამ დღემდე ორივეგან ერთი აგიტატორი — კომუნისტი ნ. ჭიჭიშვილია, რომელიც თავს არ იწუხებს და არც მეცხოველეებს „აწუხებს". კოლმეურნეობის კანტორასთან მოწყობილ საგაზეთო ვიტრინაში გაზეთებს მთელი კვირა

კუბა ალდგა, კუბა იბრძვის

ფიდელ კასტრო: სამშობლო ან სიკვდილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოსი და პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო.

ფოტო ვ. ვოლოდკინისა (საკდესის ფოტოქრონიკა). მიღებულია ფოტოტელეგრაფით.

ქართველი ხალხის მრისხანე პროტესტი

ჩვენ მათთან ვართ

ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მტკიცე პროტესტს გამოთქვამს აგრესორთა აღვირახსნილი მოქმედების გამო, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობას. ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, ყველგან იმართება ხალხმრავალი მიტინგები, მშრომელთა მრისხანე ხმა მოითხოვს — შეწყდეს აგრესია კუბაზე, დაგმობილ იქნას ამერიკელ იმპერიალისტთა ავაზაკური ზრახვები.

გუშინ თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საალქტო დარბაზში სახელდახელო საპროტესტო მიტინგზე შეიკრიბნენ მეცნიერები, სტუდენტები, მუშა-მოსამსახურეები.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ჭანუყვაძემ.

სიტყვა ეძლევა უნივერსიტეტის პროორექტორს სასწავლო ნაწილის დარგში პროფესორ მ. მირიანაშვილს.

— ამერიკის შეერთებულ შტატებში თავშეფარებული კუბელი კონტრრევოლუციონერები, — ამბობს ორატორი, — ამერიკის აგრესიული წრეების უშუალო ხელშეწყობით და მფარველობით ცდილობენ დაამხონ კუბელი ხალხის რევოლუციური მონაპოვარი. 15 აპრილს კუბის ქალაქები ამერიკის ტერიტორიიდან აფრენილმა ამერიკელმა თვითმფრინავებმა ბარბაროსულად დაბომბეს. 17 აპრილს დაიწყო შეიარაღებული ინტერვენცია.

მშვიდობის საქმე საფრთხეშია. ჩვენ, ქართველი მეცნიერები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მტკიცე პროტესტს გამოვთქვამთ და ვაცხადებთ: ხელები შორს კუბისაგან!

ტრიბუნაზეა დოცენტი ს. ხუციშვილი.

— ამ მრისხანე დღეებში, — ამბობს იგი, — ჩვენ ყველანი მხარს ვუჭერთ ფიდელ კასტროს, ამ მძიმე დღეებში მასთან ერთად ვართ. მე მტკიცე რწმენას გამოვთქვამ — კუბა გაიმარჯვებს, იგი კვლავ გამარჯვებული, კიდევ უფრო შეკავშირებული გამოვა ამ განსაცდელიდან.

დოცენტმა მ. ალექსიშვილმა, სტუდენტმა ა. მახარაძემ ილაპარაკეს კუბელი ხალხის გმირობაზე, შეუდრეკელობაზე. მათ აღნიშნეს, რომ საბჭოთა ხალხი, თუ საჭირო იქნება, ყოველგვარ დახმარებას გაუწევს რევოლუციურ კუბას.

ARA, ეს არ მოხდება

ბათუმი. (საკ. კორ.). ცნობამ ამერიკელ იმპერიალისტ მეკობრეთა მიერ კუბის მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების მასობრივად დაბომბვის, შეიარაღებული ინტერვენციის შესახებ გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია. აჭარის ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში გამართულ მიტინგებზე მშრომელები სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ამერიკელი იმპერიალისტების ავაზაკურ მოქმედებას.

— ამერიკელმა იმპერიალისტებმა ახალი, საზიზღარი დანაშაული ჩაიდინეს კუბელი ხალხის მიმართ, — განაცხადა ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე საამქროს ოსტატმა ნ. ხარებავამ. — იმპერიალისტი ავაზაკები და მათი ლაქია-აგენტები ვერ გაექცევიან მშვიდობისმოყვარე ხალხთა რისხვას. სიმართლე კუბელი ხალხის მხარეზეა, და იგი გაიმარჯვებს.

სიტყვას ამბობს ოპერატორი ი. ცხადაია.

— კუბელ კონტრრევოლუციონერთა და ამერიკელ იმპერიალისტთა თავდასხმა მშვიდობისმოყვარე კუბაზე ერთხელ კიდევ ცხადყოფს იმ ავაზაკობას, რასაც დიდი ხნის მანძილზე ამზადებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები. მაგრამ მათი ვარაუდი განწირულია ჩასაფშვნად. ბომბები ვერ დააჩოქებენ გმირ კუბელებს.

ასევე, ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები გაიმართა ბათუმის რაიონის, მახინჯაურისა და ახალშენის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებში, ერგეს, ახალოფლის კოლმეურნეობებში და ბათუმის რუსთველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ALIკვეთოს AგრESIA!

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელები თავიანთ აღშფოთებას და გულისწყრომას გამოთქვამენ თავისუფლებისმოყვარე კუბის გმირი ხალხის წინააღმდეგ ამერიკის იმპერიალიზმის ახალი სისხლიანი დანაშაულის გამო.

ელექტრომექანიკური ქარხნის სამეცდელო საამქროს მწენახავმა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ზაურ კუბალეიშვილმა განაცხადა:

დღეს, როცა საბჭოთა ქვეყანაში დაიწყო ახალი ეტაპი ადამიანის მიერ კოსმოსის დაპყრობაში, იქ კი გაჩაღებული და ძირმომპალი იმპერიალიზმის აგენტები ბომბებსა და რაკეტულ ყუმბარებს უშენს კუბის დედაქალაქს. მაგრამ მათი ცდა ჩაიფუშება. ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ აღიკვეთოს უტიფარი აგრესია, შეწყდეს იმპერიალისტთა თვითნებობა. ხელები შორს კუბისაგან!

მეჯალურგთა აღშფოთება

რუსთავი. (საკ. კორ.). დამთავრდა ცვლა. ქვეყანამ მიიღო დიდძალი ქართული ფოლადი, თუჯი, მილი, ნაგლინი, მინერალური სასუქები, ცემენტი... ქალაქის მუშა-მოსამსახურეები შეიკრიბნენ სახელდახელოდ მოწყობილ მიტინგზე. მიტინგს შესავალი სიტყვით ხსნის პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. შ. თითბერიძე.

— ამერიკელმა იმპერიალისტებმა, — განაცხადა თავის სიტყვაში საგლინავი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ო. ზარნაძემ, — ჩაიდინეს კიდევ ერთი სამარცხვინო დანაშაული — დაბომბეს თავისუფლებისათვის მებრძოლი კუბა. კუბის მიმართ ეს აგრესია იმის ახალი დადასტურებაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კვლავ აგრძელებს უგუნურ პოლიტიკას, რასაც შეუძლია გამოიწვიოს საერთაშორისო გართულებანი.

კუბაში ამერიკელთა ახალი აგრესიის გამო ასევე თავიანთი გულისწყრომა გამოთქვეს და ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს ცემენტის ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირმა ლ. კოტიოლკინამ, აზოტოვანი სასუქების ქარხნის ზეინკალმა ე. პოპოვმა, მექანიკური ქარხნის ზეინკალმა გ. კრიპუნოვმა.

მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში დაგმობილია ამერიკელი იმპერიალისტების აგრესია თავისუფლებისმოყვარე კუბელი ხალხის მიმართ.

DეკლარაCIIა კუბაში საგანგებო წესების შემოღების შესახებ

ჰავანა, 18 აპრილი. (საკდესი). პრენსა ლატინას სააგენტომ გადასცა ტექსტი ფიდელ კასტროს დეკლარაციისა კუბაში საგანგებო წესების შემოღების შესახებ.

„რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და მთავრობის პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ კუბაში შემოღებულია საგანგებო წესები და ბრძანებს:

რესპუბლიკის არმიამ, სახალხო მილიციამ და უშიშროების მთელმა ძალებმა გაძლიერონ სიფხიზლე და უფუოფამნოდ გამოვიგინენ ყველას წინააღმდეგ, ვისაც წაასწრებენ დივერსიული აქტების შესრულების, არეულობისა და მკვლელობის ორგანიზაციის დროს.

რევოლუციის დაცვის კომიტეტებმა გააორკეცონ სიფხიზლე, გამოამეღვნონ და ამხილონ კონტრრევოლუციონერები და მათი მოქმედება.

მოუწოდებს:

მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას — მთელ მშრომელ ხალხს დარჩნენ თავიანთ პოსტებზე და გაამრავლონ ღონისძიებანი პროდუქციის გამოშვებასა და სწავლაში.

მთელმა მოსახლეობამ დაიცვას მტკიცე წესრიგი და დისციპლინა, ითანამშრომლოს ხელისუფლებათან და მოსპოს დაქირავებულნი, მე-5 კოლონა, დივერსანტები და კონტრრევოლუციონერები.

ყველაფერი თავისუფალი და სუვერენული კუბისათვის საბრძოლველად! ყველაფერი უბრალო ადამიანთა განმათავისუფლებელი რევოლუციისათვის, კუბის პატრიოტული, დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციისათვის საბრძოლველად ლოზუნგით:

სამშობლო ან სიკვდილი! ჩვენ გავიმარჯვებთ!

ფიდელ კასტრო,

შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, პრემიერ-მინისტრი“.

სახელმწიფო მდივნის რასკის პრეს-კონფერენცია

ნიუ-იორკი, 17 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი **მ. სალვათელიანი** იუწყება: 17 აპრილს დილით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა რასკმა სპეციალურად მოწვეულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული არა აქვთ ჩაერიონ კუბის ამბებში. მაგრამ რასკს არ დაუფარავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სიმპათიით ეკიდებიან კუბაში გადასმულ კონტრრევოლუციონერებს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა თქვა, რომ იმ ცნობების თანახმად, რომლებიც მას მოეპოვება, კუბაში შეჭრა დიდი მასშტაბისა არაა. რასკმა აგრეთვე განაცხადა, რომ კუბაში შეჭრა არ დაწყებულა შეერთებული შტატების ტერიტორიიდან.

ჩვენ გავიმარჯვებთ!

ფიდელ კასტროს გამოსვლა

ჰავანა, 17 აპრილი. (საკდესი). შვიდი კუბელის დასაფლავების დროს, რომლებიც დაიღუპნენ 15 აპრილს ღილით ამერიკის თვითმფრინავების მიერ კუბის ბარბაროსული დაბომბვის შედეგად, გუშინ ჰავანაში, „კოლონის“ სასაფლაოს წინ მდებარე მოედანზე გაიმართა მშრომელთა გრანდიოზული მიტინგი. მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ.

კასტრომ მიტინგის მონაწილეებს მოაგონა ამ ერთი წლის წინათ იმპერიალისტთა მიერ განხორციელებული დივერსია ჰავანის ნავსადგურში აფეთქებულ გემ „ლე კუბრზე“, რომელშიც საომარი მასალები იყო, და აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობა დივერსიისათვის ეკისრებოდა ამერიკის იმპერიალიზმს. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მაშინ ცდილობდა ღუსაბუთებინა, რომ ჩემდამი ბრალდებები უსამართლოაო. მაგრამ ამ დივერსიის შემდეგ, განაგრძო კასტრომ, დაიწყო კუბაზე მეკობრული თავდასხმები თვითმფრინავებისა, რომლებიც წვავდნენ შაქრის ლერწის პლანტაციებს. ერთ-ერთი მათგანი აფეთქდა კუბის ტერიტორიაზე, და, ამრიგად, კუბის მთავრობის ხელში აღმოჩნდა უშუალო მასალები იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ბრალი მიუძღოდათ ამ დანაშაულში.

კასტრომ აღნიშნა, რომ 15 აპრილამდე არც ერთ აგრესიულ აქტს კუბის წინააღმდეგ არ ჰქონდა წმინდა სამხედრო ხასიათი. რაც შეეხება 15 აპრილის საჰაერო თავდასხმას, რომელიც ერთსა და იმავე დროს კუბის სამ ქალაქში განხორციელდა, ამ თავდასხმას ახასიათებს ტიპიური სამხედრო თავდასხმის ყველა ნიშანთვისება. ეს იყო მოულოდნელი ვერაგული შეტევა წინასწარ გაუფრთხილებლად,

შემდეგ კასტრომ პარალელი გაავლო პირლ-ჰარბორზე იაპონელთა თავდასხმასა და 15 აპრილს კუბაზე საჰაერო თავდასხმას შორის.

შემდეგ პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ კუბის ქალაქების დაბომბვა ცეცხლის წაკიდების, საჰაერო მეკობრული თავდასხმების ლოგიკური კულმინაცია, მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი აგრესიის გეგმების შედეგი იყო, გეგმებისა, რომლებსაც ამზადებენ შეერთებული შტატები სხვა ლაქია მთავრობებთან შეთანხმებით. კასტრომ დასძინა, რომ ამერიკის საგენტოები და გაზეთები მრავალჯერ წერდნენ კუბაზე თავდასხმისათვის მოღალატეთა ჯარების მზადების ბანაკების შესახებ, ამ ბანაკებში ამერიკელ ინსტრუქტორთა შესახებ, გვატემალის ტერიტორიაზე საჰაერო ბაზების შესახებ.

მაგრამ ამერიკის მთავრობამ, განაგრძო კასტრომ, გუშინ არა მარტო განაცხადა თავდასხმა კუბაზე, სიცოცხლე მოუსპო კუბელებს, გაანადგურა მატერიალური ფასეულობანი, არამედ შეეცადა შეერცხვინა მთელი მსოფლიო ყველაზე უტიფრად, ყველაზე ცინიკურად.

კასტრომ წაიკითხა ამერიკის საინფორმაციო საგენტოების ცნობები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ედლაი სტივენსონის განცხადება, რომლებიც შეიცავენ ყველაზე აბსურდულ და სასაცილო მტკიცებებს, თითქოს კუბის ქალაქები დაბომბეს კუბის თვითმფრინავებმა, რომლებსაც მართავდნენ კუბის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავები, რომლებმაც, თითქოს, გადაწყვიტეს გაქცეულიყვნენ კუბიდან საომარი თვითმფრინავებით, ხოლო ვიდრე ამას განახორციელებდნენ დაებომბათ კუბის ქალაქები. კასტრომ ამხილა ეს ურცხვი მონაჭორი. მან, კერძოდ, თქვა, რომ კუბის შეირაღებულ ძალებს არ მოეპოვება არც ერთი „ბ-26“ თვითმფრინავი, რომლებმაც დაბომბეს კუბის ქალაქები, და რომც ყოფილიყვნენ დეზერტირები, სრულიადაც საჭირო არ იქნებოდა დაგვემალა მათი სახელი, რადგანაც ისინი ცნობილი იქნებოდნენ.

კუბა მოითხოვს, განაცხადა კასტრომ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას წარუდგინონ ეს ვითომდა კუბის თვითმფრინავები და მფრინავები, თუ ამერიკის შეერთებული შტატები არ ჩაიდენენ ამას, არა მარტო კუბის მთავრობას, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნის თავრობას უფლება ექნება თქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არ შეუძლია სარგებლობდეს უმცირესი პრესტიჟითაც კი.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არა აქვს სხვა გამოსავალი, თუ არა აღიაროს, რომ თვითმფრინავები, რომლებმაც განახორციელეს თავდასხმა კუბაზე, ეკუთვნის მას, რომ მფრინავები არიან მისი დაქირავებული აგენტები, რომ ამ თვითმფრინავების ბაზა გვატემალაშია და რომ დაბომბვის შემდეგ ისინი მიმალნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კასტრომ აღნიშნა, რომ კუბის რადიოსადგური გადასცემს მთელ ლათინურ ამერიკაში და რომ მის სიტყვას ისმენს ლათინური ამერიკის მრავალი მშრომელი, და დასძინა: ჩვენ დილიჟანსების ეპოქაში როდი ვცხოვრობთ; ჩვენ ვცხოვრობთ რადიოსა და კოსმოსური ფრენის ეპოქაში, თუმცა ასეთი ფრენა ამერიკელებისათვის როდია. და აი, როცა მთელ მსოფლიოში გაისმის მსოფლიო აღტაცების ეჭო საბჭოთა კავშირის გამო, რომელმაც ჩაიდინა მეცნიერული გმირობა, რაც მთელი კაცობრიობის წარმატებას მოასწავებს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გამოაცხადა, რომ ჩაიდინა „გმირობა“ პატარა ქვეყნის წინააღმდეგ. ვთხოვთ მთელ მსოფლიოს შეადარონ საბჭოთა კავშირის გმირობა იმპერიალისტთა „გმირობას“.

იმპერიალისტებს, განაცხადა კასტრომ, არ შეუძლიათ ამატონონ კუბელებს ის, რომ მზად არიან მსხვერპლისათვის და რევოლუციური სიმტკიცისათვის. მათ არ შეუძლიათ გვაპატიონ ის, რომ მოვახდინეთ სოციალისტური რევოლუცია ამერიკის შეერთებული შტატების ცხვირწინ და რომ მზად ვართ დავიცვათ ეს სოციალისტური რევოლუცია. კუბის რევოლუცია ეს არის ჩაგრულთა დემოკრატიული, სოციალისტური რევოლუცია, რომელიც ჩაგრულებმა მოახდინეს ჩაგრულთათვის, რევოლუცია, რომლის დასაცავად ყოველი ჩვენგანი მზად არის გასწიროს სიცოცხლე (ფიდელ კასტროს ამ სიტყვებს ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ).

ფიდელ კასტრომ თქვა, რომ 15 აპრილს კუბაზე საჰაერო თავდასხმა დაქირავებული ჯარების აგრესიის პრელუდია იყო.

კუბის პრემიერმა თავისი გამოსვლა დამთავრა სიტყვებით:

გაუმარჯოს მუშათა კლასს, გლეხობას!

გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას! გაუმარჯოს თავისუფალ კუბას! სამშობლო ან სიკვდილი! ჩვენ გავიმარჯვებთ!

DემONსტრაCIIა კუბის მხარდასაჭერად ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 18 აპრილი. (საკდესი). გუშინ, როგორც კი პოლიტიკურმა კომიტეტმა განაახლა განხილვა კუბის მთავრობის საჩივრისა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების გამო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობის ახლო მოედანზე თავი მოიყარა ხალხმა, რათა პროტესტი გამოეთქვა კუბის ქალაქების ბარბაროსულ დაბომბვასთან და წუხელ დაწყებულ ინტერვენციასთან დაკავშირებით. დემონსტრაციის სამსახეზე მეტ მონაწილეს მიჰქონდა პლაკატები, რომლებსაც ეწერა: „ხელები შორს კუბისაგან“, „შეჩერდეს ინტერვენცია“, „ამერიკელი ხალხი წინააღმდეგია ინტერვენციისა, რომელიც მოაწყო ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ“. ერთ-ერთ პლაკატზე ჩამოთვლილია აგრესიის ყველა აქტი, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა მოახდინეს მეთვრამეტე საუკუნიდან.

ამერიკის სამხედრო მისია კოსტა-რიკაში ჩავიდა

ჰავანა, 18 აპრილი. (საკდესი). როგორც პრესა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტი სან-ხოსედან (კოსტა-რიკა) იუწყება, გუშინ იქ ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მისია, რომელსაც მეთაურობს სარდალი ამერიკის შეიარაღებული ძალებისა კარების ზღვის რაიონში გენერალ-მაიორი ენდრიუ ო'მირა.

როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, ეს ვიზიტი დაკავშირებულია კუბაში შეიარაღებულ შეჭრასთან, რაც 17 აპრილს მოხდა.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲣᲛᲡ(!)

ნიუ-იორკი, 17 აპრილი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, შეერთებული შტატების ოფიციალური წარმომადგენლები გულდასმით ადევნებდნენ თვალყურს დღეს კუბაში შეჭრილ მიმდინარეობას. მაგრამ თეთრმა სახლმაც და სახელმწიფო დეპარტამენტმაც უარი განაცხადეს გამოეთქვათ კომენტარები პირველ საათებში საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მხოლოდ განაცხადა: „არა გვაქვს კომენტარები“.

სწორედ ასევე არავითარი კომენტარი არ გაუკეთებია თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანს პიერ სელინჯერს.

გაუმარჯოს თავისუფალ კუბას

ფიდელ კასტროს მიმართვა ხალხისადმი

ნიუ-იორკი, 17 აპრილი. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტო აქვეყნებს კუბის პრემიერ-მინისტრ ფიდელ კასტროს განცხადების შემდეგ ტექსტს, რომელიც მავანის რადიოსადგურმა გადმოსცა.

„კუბის ხალხო! თავდამსხმელთა ძალებს ზღვიდან და ჰაერიდან ეერიში მოაქვთ ჩვენი ეროვნული ტერიტორიის სხვადასხვა პუნქტზე, სას-ვილიასის პროვინციის სამხრეთით, თვითმფრინავებისა და ხომალდების დახმარებით. რევოლუციური არმიისა და ეროვნული რევოლუციური მილიციის სახელოვანი ჯარისკაცების გადმოსხმის ყველა პუნქტში უკვე ეწევიან ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. ისინი იბრძვიან, რათა დაიცვან ჩვენი წმიდა ერი და რევოლუცია დაქირავებულთა თავდასხმისაგან, რომელიც მოაწყო შეერთებული შტატების იმპერიალისტურმა მთავრობამ. ჩვენი ჯარები უკვე მიიწევენ წინ და გამარჯვების რწმენით უტევენ მოწინააღმდეგს. ჩვენი ადამიანები უკვე ირაზმებიან, ასრულებენ რა დავალებას, რომ დაიცვენ სამშობლოსა და შეინარჩუნებენ წარმოებას.

წინ, კუბელებო! რკინითა და ცეცხლით გავუმკლავდეთ ბარბაროსებს, რომლებიც არ გვცემენ პატივს და ცდილობენ კვლავ დაგვადგან მონობის უღელი.

ისინი მოვიდნენ აქ, რათა ხელში ჩაიგდონ ჩვენი მიწა, რომელიც რევოლუციამ მისცა გლეხებს და კოოპერატივების მუშებს. ჩვენ ვიბრძვით, რათა დავიცვათ გლეხისა და კოოპერატივის მუშის მიწა. ისინი მოვიდნენ, რათა კვლავ წაგვართვან ხალხის ფაბრიკები, ხალხის შაქრის ქარხნები,, ხალხის შახტები. ჩვენ ვიბრძვით, რათა დავიცვათ ჩვენი ფაბრიკები, ჩვენი შაქრის ქარხნები, ჩვენი შახტები.

ისინი მოვიდნენ, რათა წაართვან სკოლები ჩვენს ვაჟიშვილებსა და ჩვენს გლეხ ქალიშვილებს, სკოლები, რომლებიც რევოლუციამ გახსნა ყველა რაიონში. ჩვენ ვიცავთ ბავშვთა და გლეხობის სკოლებს. ისინი მოვიდნენ, რათა ზანგს წაართვან ღირსების გრძნობა, რომელიც რევოლუციამ დაუბრუნა მას. ჩვენ ვიბრძვით, რათა შევინარჩუნოთ მთელი ხალხისათვის უმაღლესი გრძნობა — ადამიანის ღირსების გრძნობა. ისინი მოვიდნენ, რათა წაართვან მუშებს მათი ახალი სამუშაო. ჩვენ ვიბრძვით განთავისუფლებული კუბისათვის, იმისათვის, რომ ყოველ მუშას ჰქონდეს სამუშაო. ისინი მოვიდნენ, რათა მოსპონ ჩვენი სამშობლო. ჩვენ ვიცავთ ჩვენს სამშობლოს. წინ, კუბელებო! დე თითოეულმა დაიკავოს თავისი საბრძოლო და შრომის პოსტი. წინ, კუბელებო! რევოლუცია უძლეველია და იგი და გმირი ხალხი, რომელიც მას იცავს, დაამარცხებენ მის ყველა მოწინააღმდეგეს. ახლა, როცა კუბელები ეწევიან ბრძოლას, ჩვენ უფრო ხმამაღლა, უფრო მტკიცედ, ვიდრე ოდესმე, შევძახებთ: გაუმარჯოს თავისუფალ კუბას!“

MდგOMარეOბა ჰავანაში

პარიზი, 17 აპრილი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჰავანიდან იუწყება:

„წუხელ ჰავანა წააგავდა გამაგრებულ ბანაკს და შაბათს მობილიზებული მოლაშქრენი გულდასმით ადევნებენ თვალყურს მდგომარეობას ქალაქში. ქუჩებში დადიან შეიარაღებული ხალხით სავსე ვილისები, გაძლიერებულია დიდი სამრეწველო კომბინატების, ელექტროსადგურების, რადიოსადგურების, გაზეთების შენობებისა და სახელმწიფო შენობების დაცვა.

ბელგრადი, 18 აპრილი. (საკდესი). როგორც ტანიუგის სააგენტოს კორესპონდენტი ჰავანიდან იუწყება, კუბის დედაქალაქში სრული სიმშვიდეა. კუბის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ არმია და მილიცია კონტრშეტევაზე გადავიდნენ. დაუდასტურებელი ცნობებით, ბრძოლა ამჟამად მიმდინარეობს სანტა-კლარის, ლას-ტილასის პროვინციის დედაქალაქის ახლოს. ლას-ვილასის პროვინციაში მოლად მოსპობილია ინტერვენტების ერთი ჯგუფი. აღნიშნავენ, რომ ამ სექტორში ჩაძირეს ორი გემი, საიდანაც შეთქმულნი გადმოსხდებოდნენ ხოლმე, აგრეთვე ჩამოაგდეს 5 თვითმფრინავი.

ᲨᲔᲕᲐᲩᲔᲠᲝᲗ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ, ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ!

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 17 აპრილი. (საკდესი). ნაშუადღევის სამ საათსა და ოცდაათ წუთზე პოლიტიკურმა კომიტეტმა განაახლა განხილვა კუბის მთავრობის საჩივრისა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების გამო. სხდომის დასაწყისში ლიბერიის წარმომადგენელი შეეცადა გაეჯიანურებინა კომიტეტის მუშაობა — გადაეტანათ იგი საღამოსათვის, მაგრამ ამ წინადადების კენჭისყრის დროს დელეგატთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა კუბის მთავრობის საჩივრის განხილვის განგრძობას.

პირველნი გამოვიდნენ პერუსა და გვატემალის წარმომადგენელნი, რომლებმაც სცადეს ფიდელ კასტროს მთავრობისათვის ბრალად დაედოთ „ლათინური ამერიკის ქვეყნების საქმეებში ჩარევა, როგორც გვატემალის დელეგატმა განაცხადა, წიფელი პროპაგანდის ადგილების გზით“.

გვინეის წარმომადგენელმა მკაცრად დაგმო აგრესორები კუბის ქალაქების ბარბაროსული დაბომბვისა და წუხელ დაწყებული ინტერვენციისათვის. მან მოუწოდა ყველა დელეგატს ჩამოგლეჯონ ნიღაბი დამნაშავეებს, რომლებმაც ტანჯვა მიაყენეს მშვიდობისმოყვარე კუბელ ხალხს, და მოითხოვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეაჩეროს აგრესია კუბის წინააღმდეგ.

დარბაზში, სადაც პოლიტიკური კომიტეტი იხილავს კუბის საჩივარს შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების გამო, ატმოსფერო შესამჩნევად დაძაბულია. აქ არაჩვეულებრივად ბევრი ხალხია: დაკავებულია ყველა დელეგატის სავარძელი, პრესისა და საზოგადოების ქანდარა ხალხით გაჭედილია. ამ უკანასკნელს გულდასმით ადევნებენ თვალყურს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზორბა მცველები. ისინი ტრიბუნისაკენ ზურგ შექცევით ოთხ მუკრივად დგანან გასასვლელებში, მზად არიან ყოველ წუთში თავს დაატეხონ რეზინის ხელკეტები იმათ, ვინც ერთობ მჩქეფარედ გამოხატავს თავის გრძნობებს. და მაინც ისინი უძლურნი აღმოჩნდნენ, როცა გვინეის წარმომადგენლისა და კუბის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლების შემდეგ ხალხში გაისმა ერთსულოვანი ტაში კუბელ ხალხთან სოლიდარობის ნიშნად.

განსახილველი პრობლემა, განაცხადა გვინეის დელეგატმა მორის კამარამ, ეხება პატარა ქვეყნებს. ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც კუბაა, ერთ დროს იყო გვინეა, როცა იმპერიალიზმი ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა ჩაეხშო აფრიკის ახალგაზრდა რესპუბლიკის თავისუფლება. 15 აპრილის ვერაგული საჰაერო თავდასხმა და დღეს დაწყებული შეჭრა კუბაში, განაცხადა კამარამ, უმაგალითო ბანდიტიზმის აქტია.

ნიუ-იორკი, 18 აპრილი. (საკდესი). გუშინ პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე კუბის დელეგატის რაულ როას შემდეგ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი სტივენსონი. მან დიდხანს ილაპარაკა ისეთ რამეებზე, რასაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს განსახილველ სასწრაფო საკითხთან: მოიყვანა ციტატები ბიბლიიდან, ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხიც“ კი გამოათრია დღის სინათლეზე. ბოლოს, როგორც იქნა, სტივენსონი მიეხო საკითხის არსს და გამოთქვა თავისი სიმპათია და მხარდაჭერა შეიარაღებული ინტერვენციისადმი კუბის წინააღმდეგ. მან დაქირავებულებს უწოდა „პატრიოტები“, ხოლო შეიარაღებულ ინტერვენციას „აჯანყება“.

საბჭოთა დელეგატმა ვ. ა. ზორინმა მკაცრად დაგმო აგრესია პატარა ქვეყნის წინააღმდეგ, აგრესია, რომელიც მოაწყო, აფინანსებს და წარმართავს ჩრდილოეთის მეზობელი. მან დამსწრეთა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ამერიკის წარმომადგენლის სიტყვები საკმაოდ ცხადყოფენ, თუ სად წარმოებს აგრესიის მზადება. საბჭოთა დელეგატმა გაიხსენა სტივენსონის დამამშვიდებელი განცხადებანი პოლიტიკური კომიტეტის 15 აპრილის სხდომაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას „არავითარი დამოკიდებულება არა აქვს“ კუბის ქალაქების დაბომბვასთან. მაგრამ მე ვფიქრობ, განაგრძო მან, რომ აქ, პოლიტიკურ კომიტეტში, არ არიან გულუბრყვილო ადამიანები, რომლებმაც არ იცოდნენ, თუ ვინ მოაწყო ეს შეჭრა, ვისი სახსრებით, ვის ტერიტორიაზე. მიუხედავად ამერიკის წარმომადგენლის განცხადებისა „მონაწილეობის მიუღებლობის“ შესახებ, განაგრძო ვ. ა. ზორინმა, ჩვენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ვაკისრებთ სრულ პასუხისმგებლობას იმისათვის, რაც ხდება. ამერიკის პრესა, აღნიშნა ვ. ა. ზორინმა, არ მალავს, რომ შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, ამერიკის ხელისუფალთა ხელშეწყობით, ამერიკელ მოქალაქეთა მონაწილეობით, როცა მწარმოებენ იარაღით, თვითმფრინავებით, სანაოსნო საშუალებებით მომარაგებას, ხორციელდება არმიის შეჭრის მომზადება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვალია არ აუაროს გვერდი პატარა ქვეყნის საქმეებში სახელმწიფოს ჩარევის ამ აღმაშფოთებელ ფაქტებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვალია დაიცვას მშვიდობა და უშიშროება. ჩვენ მოვითხოვთ ეფექტიან ღონისძიებათა მიღებას, რათა აღიკვეთოს შეიარაღებული ინტერვენცია კუბის წინააღმდეგ, დაუყოვნებლივ შეწყდეს მეზობელი ქვეყნის ტერიტორიის გამოყენება ამ ინტერვენციისათვის, ვ. ა. ზორინმა მოითხოვა, რომ კომიტეტმა განაგრძოს მუშაობა.

MდგOMარეOბა ჰავანაში

პარიზი, 17 აპრილი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჰავანიდან იუწყება:

„წუხელ ჰავანა წააგავდა გამაგრებულ ბანაკს და შაბათს მობილიზებული მოლაშქრენი გულდასმით ადევნებენ თვალყურს მდგომარეობას ქალაქში. ქუჩებში დადიან შეიარაღებული ხალხით სავსე ვილისები, გაძლიერებულია დიდი სამრეწველო კომბინატების, ელექტროსადგურების, რადიოსადგურების, გაზეთების შენობებისა და სახელმწიფო შენობების დაცვა.

ბელგრადი, 18 აპრილი. (საკდესი). როგორც ტანიუგის სააგენტოს კორესპონდენტი ჰავანიდან იუწყება, კუბის დედაქალაქში სრული სიმშვიდეა. კუბის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ არმია და მილიცია კონტრშეტევაზე გადავიდნენ. დაუდასტ

ქეჯი სამშობლოს საგუშაგოზე

1.

ეს იყო სწავლის დღეებში. „მოწინააღმდეგეს“, რომელიც ცდილობდა დაენგრია უკრაინის დიდი სამრეწველო ცენტრი, ბრძოლაში გამოჰყავდა ათობით მძიმე ბომბდამშენი. თვითმფრინავები მოდიოდნენ ყოველი მიმართულებიდან, სხვადასხვა სიმაღლეზე დღისით და ღამით. მაგრამ ვერცერთმა მათგანმა ვერ შეძლო გაჭრილიყო ნ-ის შორეულ მისადგომებზეც კი: ჩვენი საჰაერო თავდაცვა მტრისათვის დაუძლეველი აღმოჩნდა.

და აქ საქმე მარტო მფრინავებისა და მეზენიტეების ოსტატობა როდია. ვთქვათ, დამხვედრმა თვითმფრინავმა რომ შეძლოს მტრის ბომბდამშენის მოსპობა დასაცავი ობიექტიდან შორს, მანამდე დიდი ხნით ადრე უზადო სიზუსტით უნდა შეასრულონ თავისი სამუშაო სულ სხვადასხვა პროფილის სპეციალისტთა გრძელმა ჯაჭვმა.

ამ ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი არიან პლანშეტისტები, თავმდაბალი და სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ნაკლებად შესამჩნევი ადამიანები. საბრძოლო მუშაობის დროს სამეთაურო პუნქტში რომ შეხვიდეთ, კვადრატებად დაყოფილი დიდი მქრქალი მინის იქით მათს მხოლოდ სილუეტებს დაინახავთ. „აჩრდილების“ მუშაობას რამდენიმე წუთს რომ დაკვირდებით აღმოაჩენთ, რომ ხაზები მინაზე (სწორედ ეს არის პლანშეტი) გრძელდება, სხვადასხვა კუთხეზე ტყდება, მათ ახლოს ჩნდება რაღაც ციფრები. ხაზები თვითმფრინავების გავლებული მარშრუტებია.

მაგრამ დავუბრუნდეთ სწავლას.

პლანშეტისტები ისე მუშაობდნენ, რომ ოფლი სდიოდათ. შემდეგ იწყებოდა დაძაბულობა. მას კარგად იცნობს ბევრი სპეციალისტი. თავზე ჩამოსაცმელი ტელეფონები რომ გაიკეთე და პლანშეტთან დადექი, დაივიწყე ყველაფერი გარდა იმისა, რის გაკეთებაც შენ მოვალეობაა, სახელდობრ უშეცდომოგაავლო მიზნების მარშრუტები.

საჰაერო ვითარება ისე იქმნებოდა: რომ მეომრები საჭმლის მიღებას დროზე ვერ ახერხებდნენ. ეძინათ ნაწყვეტ ნაწყვეტად: ორიოდე თავისუფალ საათს რომ იშოვნიდნენ, თვალებს მილულავდნენ.

— რა, თამაზ, ძალა კიდევ გაქვს? გაუძლებ? — ეკითხებოდა მეთაური.

— მაქვს ამხანაგო კაპიტანო! —უპასუხებდა რიგითი მახარაძე. — გავუძლებ! უნდა გავუძლო...

და ეს თავმომწონობა როდი იყო. ბევრსა სმენოდა მისი ჭეშმარიტად შესაშურებელი მოუღლელობა — ვარჯიშიც, ფეხბურთის მოედანზეც, სარბენ ბილიკზეც. ამხანამბა ხომ, როგორც ცნობილია, დაბადებით არ დაჰყვება ადამიანს, იგი ცხოვრებაში უნდა შეიძინოს. ალბათ კარგი წრთობა მიიღო ამ შავთმიანმა კუნთმაგარმა ახალგაზრდამ ბათუმის ნავსადგურში, სადაც სამ წელიწადს მუშაობდა, საღამოობით კი სწავლობდა და სიმწიფის ატესტატი მიიღო...

გათენებისას „მოწინააღმდეგის“ თვითმფრინავები კვლავ შემოიჭრნენ ჩვენს საჰაერო სივრცეში. ისინი რამდენიმე იყვნენ, ერთმანეთს მოსდევდნენ პატარ-პატარა ინტერვალებით. ამან მუშაობა გაურთულა საჰაერო თავდაცვის ყველა მეომარს, მათ შორის პლანშეტისტებსაც: ერთია მიგაყვდეს ერთადერთი მიზანი, სულ სხვა რამდენიმე მიზნისათვის გზის გაკვლევა. აქ ადვილია შეცდომის დაშვება. მაგრამ სწავლა სწორედ იმისათვის არის, რომ სიძნელე გამოსცადო, თორემ როგორ მოემზადები ნამდვილი ბრძოლისათვის? საჰაერო თავდაცვის მეომარი კი — ეს ხომ საიდუმლოება არ არის — მშვიდობიან დროსაც საბრძოლო პოსტზეა, როგორც გუშაგი საზღვარზე. ამიტომ იყო რომ მეთაურმა ყველაზე დაძაბულ მომენტში გაართულა მუშაობის პირობები — მისცა სიგნალი „გაზები“. სამეთაურო პუნქტის სადგომმა მოთეთრო, შხამიანი გაზით იწყო გავსება, და პირადმა შემადგენლობამ აირწინაღები გაიკეთა.

აბა, ყოჩაღად, თამაზ! ახლა მთავარია არ აგერიოს მონაცემები, რომლებსაც ოპერატორები გადმოსცემენ, არ დაკარგო რიტმი მარშრუტების გავლებაში. ამავე დროს ხომ საკმარისია ყურადღების მოდუნება რამდენიმე წამით, შეცდომის დაშვება, და მეომართა დიდი კოლექტივის შრომა შეიძლება გაჭარწყლდეს. შრომას ვინ ჩივის! ერთი ადამიანის შეცდომამ შეიძლება ჩაფუშოს საჰაერო თავდასხმის მოგერიების საბრძოლო ამოცანა...

არა, თამაზი თვალისჩინივით უფრთხილდება კოლექტივის ღირსებას, საბჭოების ქვეყნის მეომრის ღირსებას. ახლა იგი ყურადღებად არის გადაქცეული. მთელი ნებისყოფის დაძაბვით თამაზი ზედიზედ წერს ციფრებს, სწრაფად და უშეცდომოდ ავლებს მიზნების მარშრუტებს და, პლანშეტს რომ უყურებს, მეთაური ჰაერში შექმნილ ვითარებას ისე ხედავს როგორც სარკეში.

და მხოლოდ მაშინ, როცა ირიტრაჟა, მიცემულ იქნა ბრძოლის დამთავრების სიგნალი. „მოწინააღმდეგემ“ ამჯერადაც ვერ შეძლო თავისი განზრახვის განხორციელება.

თამაზ მახარაძე სკამზე ჩამოჯდა და თითქოს მხოლოდ ახლა იგრძნო, თუ რარიგ იყო დაღლილი.

...საღამოს კი ზემდეგმა დაიწყო ასეული და გამოაცხადა მეთაურის ბრძანება იმათი წახალისების შესახებ, რომლებმაც თავი გამოიჩინეს. როცა მან წაიკითხა: „სწავლისას, საუკეთესო საბრძოლო მუშაობისათვის მადლობა გამოეცხადოს რიგითს ჯარისკაცს მახარაძეს“, თამაზმა სიამაყით უპასუხა:

— ვემსახურები საბჭოთა კავშირს!

ეს მისი მეთვრამეტე წახალისება იყო.

2.

თავდადებით, როგორც ამას სამხედრო ფიცი მოითხოვს ასრულებს თავის მეომრულ მოვალეობას სამშობლოს წინაშე თამაზ მახარაძე. და მას ყველა პატივს სცემს: მეთაურები — მაღალი საბრძოლო ოსტატობისათვის, სიჩაუქისათვის, ამხანაგები — გულკეთილობისათვის, გულისხმიერებისათვის, კარგი ამხანაგობისათვის.

როცა პლანშეტისტებს უფროსი დასჭირდათ, ასეულის მეთაურმა გადაწყვიტა, რომ მახარაძე კარგად გაარომეოდა თავს უფროსის მოვალეობას.

ასე გახდა თამაზი გასული წლის ოქტომბერში უმცროსი სერჟანტი პლანშეტისტთა ათეულის მეთაური. საზრუნავი მოემატა. და მერე როგორ! წინათ მხოლოდ თავისი თავისათვის აგებდა პასუხს, ახლა კი პასუხისმგებელია მთელი კოლექტივისათვის, მისი სწავლებისა და აღზრდისათვის. ხოლო ათეულში სხვადასხვა ადამიანები არიან, საკუთარი მიდრეკილებით, ღირსებებითა და ნაკლოვანებებით. ყველას თავისი მიდგომა ესაჭიროება.

და უმცროსი სერჟანტი სწავლობს ადამიანებს, განამტკიცებს კოლექტივს, ახალმოსული ჯარისკაცების ოსტატობა გამოცდილ სპეციალისტთა დონემდე ამყავს.

ათეულში ყველაზე უკანასკნელი მოვიდა ავთანდილ მახარაძე მეთაურის ღვიძლი ძმა. იგი სუსტი აგებულებისა და თამაზთან შედარებით, რა თქმა უნდა, გამოუცდელი იყო, როცა შეხვედრის სიხარული დაუცხრათ, ხოლო ოჯახური და სხვა ახალი ამბები უამბეს ერომშენთს, საჭირო იყო შესდგომოდნენ იმას, რისთვისაც მოქალაქეობრივმა მოვალეობამ ორი ძმა — ქართველი ვაჟკაცები უკრაინის პატარა ქალაქში მიიყვანა.

— ვისწავლოთ, ავთანდილ!

— მასწავლე თამაზ!

— ავთანდილს, ისევე როგორც მის თანამოსამსახურეებს, ასწავლიან ათეულის მეთაური თამაზ მახარაძე, ოცეულის მეთაური ლეონიდ სერჟანტი იური ტიტარენკო, ოცეულის მეთაური ლეიტენანტი გრიგოლ პიცუხი და სხვები, მომთხოვნი, მზრუნველი უფროსები. ასწავლიან ყველაფერს: დილაობით ადგომას საყვირის ხმაზე, საწოლის გასწორებას, პირადი იარაღის სროლას, უფროსების მისალმებას.

— ავთანდილი, ისევე როგორც სხვები, უფრო სწორად ყველაზე ხშირად ინიშნება მორიგედ.

— დღეს მედღეური იქნები ასეულში, — ეუბნება თამაზი.

— კარგი!

—„კარგი“ კი არა, „არის“ — უსწორებს უმცროსს უფროსი ძმა.

ავთანდილი იწმენდს ღილებს, სანამ ბზინვას დაიწყებინებდეს, საყელოს გამოაკრავს ქათქათა სარჩულს, ბეჯითად სწავლობს წესდების მუხლებს.

გადის ერთი-ორი კვირა, და უფროსი ძმა ეუბნება უმცროსს:

— ხვალ მედღეური იქნები, ავთანდილ.

— არის ამხანაგო უმცროსო სერჟანტო! — სავსებით სერიოზულად უპასუხებს უმცროსი, რომელიც უკვე ერკვევა მხედრული სამსახურის წესებში.

— ყოჩაღ, კარგად მიპასუხე, — იცინის თამაზი. — თორემ... „კარგი“ — შენც მოიფიქრე რაღა...

შემდეგ კი წვრთნა. ავთანდილი ძმის ათეულში მოხვდა, მაშასადამე, პლანშეტისტი უნდა გახდეს, თანაც არა რაღაც მდარე (ხომ ყველანი დასცინიენენ მეთაურს!) არამედ ისეთი, როგორიც თამაზია — ნაწილის საუკეთესო პლანშეტისტი.

ო რა ძნელია ეს წვრთნა! გინდათ იცოდეთ, რა არის ეს? შეიარაღდით, მეთვალეო, ფანქრით და სინჯეთ წეროთ ციფრები ჩვეულებრივი წესით კი არა, არამედ სარკეში ასახულად, ესე იგი უკუღმა, რაო, ძნელია? არ გამოგვიდათ? მაშ როგორ გეგონათ... კარგი სრულფასოვანი პლანშეტისტი კი ძალიან ჩქარა, დაუფიქრებლად, მექანიკურად და თანაც მეტად მკაფიოდ უნდა წერდეს.

თამაზი თავდაპირველად უხსნის, თავის ჩვევებს გადასცემს, დავალებას აძლევს: ისწავლოს წუთში 20-25 ციფრის ჩაწერა. ავთანდილი წერს, თამაზი კონტროლს უწევს, შენიშვნებს აძლევს. უმცროსს ოფლი ღვარად ჩამოსდის შესვენებაც უნდა და, საერთოდაც, ზოგჯერ ფიქრობს, რა საჭიროა ეს უკუღმა დაწერილი ციფრები, ნუთუ სხვანაირად არ შეიძლებაო. მაგრამ უფროსი ულმობელია: ხუთი წუთი კიდევ დარჩა...

არ უნდა ვიფიქროთ, რომ უმცროს სერჟანტ მახარაძეს თავის ძმაზე ზრუნვის გარდა მეტი საქმე არა აქვს. არა, ის მუშაობს მთელ ათეულთან ან ყველა ახალბედასთან მაინც. მაგრამ რადგანაც ამ ძმებზე ვწერთ, ისინი სხვებზე ხშირად არიან ჩვენი მხედველობის არეში.

მოკლე ხნის შესვენების შემდეგ იწყება წვრთნა — უკვე მიზნების გატარებაზე.

წვრთნა დამთავრდა, მაგრამ კიდევ გამოჩნდება ისეთი რამ, რის ცოდნაც სახარგებლოა ახალბედასათვის, და მოხედავსაც ვერ მოასწრებ, რომ დღე უკვე გასულა.

ხოლო უმცროსი ძმა — ავთანდილი ცნობისმოყვარე ბიჭია, ყველაფერზე ეკითხება უფროსს: მოწინააღმდეგის თვითმფრინავების ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემების გაგებაც უნდა, იმის ახსნაც, თუ როგორ აღმოაჩენს ლოკატორი მოწინააღმდეგეს ჰაერში, თუ შეძლებენ ოფლი ღვარად ჩამოსდის შესვენებაც უნდა და, საერთოდაც, ზოგჯერ ფიქრობს, რა საჭიროა ეს უკუღმა დაწერილი ციფრები, ნუთუ სხვანაირად არ შეიძლებაო. მაგრამ უფროსი ულმობელია: ხუთი წუთი კიდევ დარჩა...

ავთანდილ მახარაძე

3.

ფოტოკორესპონდენტთან ერთად ნ ნაწილში მივედით. დღის თერმეტ საათზე შევედით ასეულში, რომ შეეხვედროდით ძმებს.

— რიგითი მახარაძე ისვენებს, — აგვიხსნა მორიგემ. მთელ ღამეს მუშაობდა.

— უმცროსი სერჟანტი მახარაძე?

— თამაზს კლუბში ნახავთ.

— რა ამბავია, კრება თუ კინო?

— არა, რეპეტიცია.

კარგ დროს მოხვდით კლუბში! ეს არის დაიწყო საესტრადო კვარტეტის გამოსვლა. ცენტრში თამაზი იდგა და გატაცებით, პროფესიული ოსტატობითაც კი, უკრავდა გიტარას. კონტრაბასს უკრავდა მისი უფროსი, ოცეულის მეთაურის მოადგილე სერჟანტი იური ტიტარენკო, კლარნეტს — რიგითი გენადი ფროლოვი, პიანინოს — რიგითი ბორის ნაზარენკო. კვარტეტი ასრულებდა ნიკიტა ბოგოსლოვსკის ფართოდ ცნობილ „სიმღერას ლენინგრადზე“.

საუცხოო კვარტეტია! როგორც მზე წვეთ წყალში, მასში ასახულია საბჭოთა ქვეყნის ხალხთა დიადი მეგობრობაც და ჩვენი შესანიშნავი არმიის ურღვევი ძმობაც.

და აი აქ რეპეტიციის დროს, გავეცანით უფროსი ძმის ხასიათის ახალ თვისებებსაც. ეს უაღრესად გამოცდილი პლანშეტისტი ნიჭიერი გიტარისტიც აღმოჩნდა.

კვარტეტის სურათი რომ გადაიღო, ფოტოკორესპონდენტმა გადაწყვიტა მისი ხელმძღვანელის გვარი ჩაიწეროს.

— ჩვენ დამოუკიდებლად ვუკრავთ, — უთხრა თამაზმა.

მაგრამ ფოტოკორესპონდენტს არა საძალებლობაა, თვითონ მიდის ოპერატორთან, აკვირდება ინდიკატორის მოციალე ეკრანს, რომელზეც, როგორც იტყვიან, რომ მოგკლან, ვერაფერს ვერ გაარჩევ, თუ თვალი მაჩვეული არა გაქვს და საქმეს გაცნობილი არა ხარ.

და თამაზი მას, ისევე როგორც ყველა სხვასაც ყველაფერს მოთმინებით უხსნის, თავისი გამოცდილებით კარგად იცის, რომ პლანშეტისტის მუშაობა მხოლოდ ერთი შეხედვით გეგონება არართული და წმინდა მექანიკური. მიზნების მარშრუტები საზრიანად რომ გაავლო, უნდა იცნობდე აეროდრომებსაც, თვითმფრინავების ტაქტიკურ-ტექნიკურ მონაცემებსაც. მათს ტაქტიკასაც, თავისი ქვეგანაყოფის საბრძოლო შესაძლებლობებსაც. პლანშეტისტისათვის ძალიან სასარგებლოა რომ ოპერატორის მუშაობაშიც ერკვეოდეს.

აი სწორედ ასეთ, ფართო ჰორიზონტის მქონე სპეციალისტებს ამზადებს უმცროსი სერჟანტი მახარაძე. ასეთი პლანშეტისტი გახდება მისი ძმა ავთანდილიც. არც არის გასაკვირველი: იგი ყველაზე გვიან მოვიდა ათეულში, მაგრამ არამარტო დაეწია ამხანაგებს, არამედ ზოგს კიდევაც გაუსწრო.

სურათზე: ნ ნაწილის პლანშეტისტები ძმები მახარაძეები. უმცროსი სერჟანტი თამაზ და რიგითი ავთანდილ.

ფოტო კ. ფედულოვისა.

გუდაუთა. ზღვისპირა პარკის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო ი. ჭობონელიძისა (საქდესის ფოტოკორონიკა).

კურორტი მენჯი დამსვენებლებს იღებს

მენჯში საკურორტო სეზონი დიდწყო. შეკეთდა სანატორიუმების საბაბანო შენობები, აგრეთვე სანტექნიკური მოწყობილობა. წყალგამყვანი, მეორე კორპუსის შენობის წინა ფასადი, პოლიკლინიკის, პანსიონატის და სხვა შენობები.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამედიცინო კადრების გადამზადებას. დაიდგა ახალი რენტგენის აპარატი. სანატორიუმები და პოლიკლინიკა უზრუნველყოფილია მედიკამენტებითა და რბილი ინვენტარით.

სანატორიუმმა უკვე მიიღო დამსვენებელთა დიდი ჯგუფი. აქ ჩამოვიდნენ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ჩელიაბინსკიდან, კურსკიდან, ბაქოდან, თბილისიდან და სხვ.

კურორტ მენჯის პოპულარობა სულ უფრო იზრდება. მატულობს დამსვენებელთა რაოდენობა.

ს. კუბაკა.

ხანძარი ველზე

მატარებელი სადგურ სანაინისაკენ მიჰქროდა... მემანქანეები ფხიზლად გასცქეროდნენ რკინიგზის ხაზს, მის გაყოლებით მდებარე მინდვრებს, ახლადაყვავებულ ბაღებს, ლილის იისფერ ბუჩუნში გახვეულ გორაკებს...

უცბად მემანქანეებმა სადგურ შულავერის მახლობლად ცეცხლის ენები შეინიშნეს, დაკვირდნენ: ალში გახვეულიყო რკინიგზის შემკეთებელთა მოძრავი საცხოვრებელი ვაგონების სახურავები...

სატვირთო მატარებელმა, რომელიც ორ ორთქლმავალს მიჰყავდა, სვლა შეაჩერა. მემანქანეებმა გ. მასურაშვილმა და შ. კაპანაძემ წამიც არ დაკარგეს, მატარებლის შეჩერებისთანავე ცეცხლმოდებული ვაგონებისაკენ გაიჭრნენ, ორთქლმავლებზე არსებულ ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით ცეცხლს ეკვეთნენ...

ცეცხლთან ბრძოლა რამდენიმე წუთს გაგრძელდა.

— თქვენ რომ არა, — განაცხადა ვაგონში მცხოვრებმა მოქალაქემ, — დავიღუპებოდით, ათივე ვაგონი დაიწვოდა, ველის ქარიც ხელს უწყობდა ცეცხლს...

— მარტო ჩვენი ცდა ცეცხლის წინააღმდეგ ძნელი აღმოჩნდებოდა... წყლის მარაგიც ამ შიშველ, უაკაციელ ველზე ცოტა გვქონდა...

მამაცი მემანქანეები რკინიგზის შემკეთებლებმა გადაკოცნეს, მათ მადლობა გადაუხადეს.

მატარებელი, რომელიც თბილისელ მემანქანეებს მიჰყავდათ, დანიშნულ ადგილს თავის დროზე მივიდა.

მამაც მემანქანეებს გ. მასურაშვილსა და შ. კაპანაძეს თბილისის საორთქლმავლო დეპოს ხელმძღვანელობამ მადლობა გამოუცხადა.

მშრომელთა მომსახურებისათვის

მახარაძეში საეკსპლოატაციოდ გადაეცა ქალაქის ავტომატური სატელეფონო სადგური, რომელიც მომსახურებას უწევს 900-ზე მეტ აბონენტს.

(საკ. კორ.).

რედაქტორი

დ. მჟედლიშვილი.

ჯ. ჯ. იოსელიანი — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა დოცენტმა ავთანდილ პავლეს-ძე ოსელიანმა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, ფილოსოფიის, ეკონომიური და იურიდიული ფაკულტეტების გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საქართველო საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში (1941-1945 წწ.)“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ა. ჯ. იოსელიანისათვის ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ორ წელიწადში — სამი დოლი

წითელწყაროში. (საკ. კორ.). ოცდა ორი ათასი სული ცხვარი! ეს არბიშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კუთვნილებაა. 13.500 დედაცხვარი დადოლდა. მეცხვარეები ბატონის სიმრავლემ გაახარა. შედეგით ყველა ბრიგადა კმაყოფილია, მაგრამ ყველაზე უკეთეს მაჩვენებელს მაინც მეთოთხმეტე ბრიგადამ მიაღწია.

ბრიგადირმა გ. ბაცაცაშვილმა სტავროპოლელი მეცხვარის მალაშენკოსა და სიღნაღელი ჩალაბაშვილის მაგალითისამებრ ადრეული დოლი დანერგა. შარშან დოლი იანვარში დაამთავრა. 773 ნერბზე 783 ბატკანი გაზარდა. სხვა ბრიგადებთან შედარებით შვიდი ტონით მეტი ხორცი აწარმოვა. დეკემბერში მეორე დოლი დაამთავრა. შვიდას ნერბზე 725 ბატკანი გაზარდა.

გ. ბაცაცაშვილი ორ წელიწადში სათვლელ-ვით მესამე დოლს ნოემბერში ვარაუდობს.

სურნელოვანი პიღპიღის პლანტაცია

სიღნაღი. (საკ. კორ.). ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სიღნაღის სატყეო მეურნეობის კოლექტივი. შარშან ტყის კულტურები 89 ჰექტარზე უნდა გაეშენებინათ. ფაქტიურად ეს ჰექტარსაც არ დასჯერდნენ. წელს გაციცლებით მეტი იქნება.

სამი წლის წინათ ჭიანტყის სატყეო აგარაკში სურნელოვანი პიღპიღის პლანტაცია გაშენდა. წელს მისი ფართობი ხუთ ჰექტარამდე გადიდდება. შარშან პირველად 22 კილოგრამი ნაყოფი მიიღეს. წელს მეტს მოელიან. კულტურების ოსტატი ა. ბუთლაშვილი, მუშები ფ. ბეიტრიშვილი, ი. ხატიაშვილი, ა. გოძიაშვილი და ე. ბენაშვილი პიღპიღის პლანტაციებს მზრუნველობას არ აკლებენ.

მხატვრის ფუნჯი მეტყველებს

აზერბაიჯანელი მხატვრების ნახატები მიიღვნილია საბჭოთა საქართველოსადმი

ბაკო, 18 აპრილი. (საქდესის სპეც. კორ.). ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის წიგნში ახალი ფურცელი ჩაიწერა. ბაქოში გაიხსნა აზერბაიჯანელი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა, მიძღვნილი საბჭოთა საქართველოსადმი. გამოფენის ექსპოზიციას შეადგენს 200 ეტიუდი და ჩანახატი, რომლებიც შესრულებულია აზერბაიჯანელ მხატვართა ამასწინანდელი შემოქმედებითი მოგზაურობის დროს მოძმე საქართველოში.

მდიდარია აზერბაიჯანელ მხატვართა შთაბეჭდილებანი. გულითადი ლირიკული გრძნობით არის გამთბარი ქართული პეიზაჟები, რომლებიც აზერბაიჯანის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ს. ბახულზადეს შეუსრულებია. ბევრი საინტერესო რამ უპოვნია საქართველოს სუბტროპიკებში მხატვარს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ს. სალამზადეს, რომელმაც მთელი რიგი ნამუშევრები შეასრულა ლაითურის ს. კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციებში. ოსტატურად შეუსრულებია ლინოგრავიურები აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს მ. რახმანზადეს. თავისი უშუალობით გვხიბლავს ქართული ქალაქების ხედები, რომლებიც აღუბეჭდია მხატვარ კ. სეიფულაევს. ლამაზია ნ. ყასიმოვის, ე. ჰუსეინოვის ნახატები, მიძღვნილი თბილისისადმი.

აზერბაიჯანელ მხატვართა ჯგუფი ესტუმრა საგარეჯოს რაიონის მინდვრის მშრომელებს. აქ მათ დახატეს საუკეთესო მწველავთა პორტრეტები, ბევრი ჩანახატი გააკეთეს, და აი გამოფენაზე ვხედავთ წარჩინებული მეფრინველის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ე. გედეხაურის პორტრეტს, რომელიც შეუსრულებია უ. ქერიმოვს, სარეფერალის მეძროვეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მწველავების მ. ჯაჭანტარაძისა და თ. გოგუას პორტრეტებს, რაც შეუსრულებია ე. უსეინოვს.

მხატვრებმა ა. ხალიგმა, ო. ალაბაბოვმა, ჯ. რუსტამოვმა და ლ. ქერიმოვმა დიდი სიყვარულით დახატეს ჭიათურის მოწინავე მეშახტეების, მინდვრის სახელოვანი მშრომელებისა და საბჭოთა საქართველოს ხელოვნების მოღვაწეების პორტრეტები.

ქვეყნისმეტყველი

8,5:4,5 ბოტვინიკის სასარგებლოდ

მოსკოვი, 18 აპრილი. (ტელეფონით). დღეს დილით მსოფლიოს ჩემპიონის სეკუნდანტმა ოსტატმა კობლენცმა მატჩ-რევანშის არბიტრს გროსმაისტერ შტალბერგს ტელეფონით აცნობა, რომ ტალი თამაშის განუახლებლად თმობს მეცამეტე პარტიას. ანგარიში გახდა 8,5 : 4,5 ბოტვინიკის სასარგებლოდ.

თქვენი კორესპონდენტი ესაუბრა სპეციალისტებს, გროსმაისტერებს, ოსტატებს, საჯადოკო მიმომხილველებს. თითქმის არც ერთ მათგანს ეჭვი არ ეპარება ბოტვინიკის გამარჯვებაში. მეცამეტე პარტიაში გამარჯვება მარტო სპორტული მიღწევა როდია. ეს ... ერელეს ყოვლისა ექს-ჩემპიონის მეტად თვალსაჩინო შემოქმედებითი მიღწევაა.

როგორც ბოტვინიკმა ჩემთან საუბარში განაცხადა, იგი უკვე მე-16 სვლის შემდეგ თვლიდა ტალის პოზიციას უიმედოდ. საყურადღებოა, რომ დანარჩენი გროსმაისტერები ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მხოლოდ 26-ე სვლის შემდეგ.

ეს მეტყველებს ბოტვინიკის, ბრწყინვალე სპორტულ ფორმაზე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასე კარგად ბოტვინიკს უკვე რამოდენიმე წელია არ უთამაშია.

კატასტროფული მარცხი განიცადა ტალმა შავებით. შვიდი შეხვედრიდან მან წაიგო ექვსი და ძლიერად ერთი დაამთავრა ყაიმით. ეს უმაგალითო შემთხვევაა მსოფლიო ჩემპიონობისათვის ბრძოლის ისტორიაში. რა არ გამოიყენა ტალმა?! ოთხჯერ ნიმცოვიჩის დაცვა, იოლისური დასაწყისი, სლავური დაცვა, ძველ ინდური დაცვა და... ყველაფერში მარცხი განიცადა.

ახლა, როდესაც ბოტვინიკმა ასეთ დიდ უპირატესობას მიაღწია, მრავალი გულშემატკივარი სვამს კითხვას: ხომ არ დათმობს ტალი მატჩ-რევანშს თამაშის გაუგრძელებლად? შეიძლება დაბეჯითებით განვაცხადოთ, რომ იგი ბრძოლას უთუოდ ბოლომდე გაგრძელებს.

მორიგი მე-14 პარტია გაიმართება ხვალ. თეთრებით ითამაშებს ტალი.

ლ. აბრამოვი,
ოსტატი.

... ბოტვინიკი — ... — ... — ...